გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№111 (1006) 14 – 16 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საქართველოს მთავრობის წარმატებული ვიზიტი ყაზახეთში

გვ. 2

სოსო ცისკარიშვილი ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირების დეტალებს ამხელს

„თანაშემწეს გადაულაპარაკა — აქ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო და მართლაც, ექსპერტთა კლუბში აღარ მოსულა“

ექსკლუზივი

გვ. 3–4

„ვპირდები ბიჭებს, ციხიდან რომ გამოვლენ, ეს ხელისუფლება აღარ დახვდებათ“

ავაკი ბობოხიძეს სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეაქვს

გვ. 5

აქვს თუ არა კავშირი „მედგრუპ ჯორჯიას“ ოფისის დაცხრილვასთან გარდაბნის მაქორიტარ დეპუტატს და გარიგდებიან თუ არა თამაზ მჭედლიძე და თემურ ფეიქრიშვილი

გვ. 6

Dirsi

დედაქალაქის ახალი უბანი დირსი საზეიმო ვითარებაში გაიხსნება

გვ. 8

პატიმრების დღეები

პატიმრების ცოლების შემზარავი ისტორიები



m²

გაყიდვების ახალი ოფისი ყაზბეგის გამზირზე გაიხსნა

გვ. 7

საქართველოს მთავრობის წარმატებული ვიზიტი ყაზახეთში

რატომ გადაუხადა განსაკუთრებული მადლობა ყაზახეთის პრეზიდენტმა კახა კალაძეს

გიორგი იაშვილი

არავისთვის არის უცხო, რომ ყაზახეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია და ყაზახურ მხარეს ჩვენს ქვეყანაში არაერთი საინვესტიციო პროექტი განუხორციელებია. ინვესტიციების განხორციელება მომავალშიც იგეგმება და ეს იყო ძირითადი სასაუბრო თემა ქართული დელეგაციისა, რომელმაც ყაზახეთში ვიზიტი უკვე დაასრულა. მთავრობის მეთაურთან, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, ყაზახეთში ვიცე-პრემიერები — კახა კალაძე და გიორგი კვირიკაშვილი იმყოფებოდნენ. დელეგაციაში იყვნენ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია.

ასტანას საერთაშორისო აეროპორტში საზეიმო ცერემონიის შემდეგ, საქართველოს და ყაზახეთის პრემიერებმა დახურულ კარსმიღმა შეხვედრა გამართეს და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ვიზიტის მეორე დღეს ქართულმა დელეგაციამ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო, შემდეგ კი სახელმწიფო მუზეუმი მოინახულა და იქ დაცული ექსპონატები დაათვალიერა. ყაზახმა კოლეგამ ირაკლი ღარიბაშვილს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა, რის შემდეგაც საქართველოს მთავრობის მეთაურმა ოფიციალური განცხადება გააკეთა.

„მსურს, ვისარგებლო შესაძლებლობით და კიდევ ერთხელ მოგიწვიოთ საქართველოში. ჩემი ქვეყანა გაგაოცებთ თავისი უნიკალური გეოგრაფიით, ისტორიით, კულტურით, სამზარეულოთი და სტუმართმოყვარე ხალხით. დარწმუნებული ვარ, შეხვედრაზე ჩვენს მიერ განხილული სამომავლო გეგმები, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საწინდარია. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით მასპინძლობისა და კეთილი სურვილებისთვის. იმედი მაქვს, შემდგომშიც გავაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის გამოწვევების დასაძლევად“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან. ქვეყნის პრეზიდენტმა ქართული დელეგაცია სრული შემადგენლობით აკორდას სასახლეში მიიღო. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საქართველო ყაზახეთს მეგობარ სახელმწიფოდ და უმნიშვნელოვანეს პარტნიორად მიიჩნევს. შეხვედრისას ხაზი გაესვა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებსა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობას.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ნურსულთან ნაზარბაევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის საქმიანობის მნიშვნელობას, რომლის სხდომები რეგულარულად იმართება. მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი. პრემიერმა და საქართველოს მთავრობის წევრებმა ყაზახურ მხარეს მიაწოდეს ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს.

ღარიბაშვილის გარდა, შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერები — ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები, გიორგი კვირიკაშვილი და კახა კალაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დაესწრნენ.

ყაზახეთის პრეზიდენტმა არ დამალა, რომ ენერგეტიკის მინისტრით, კახა კალაძით კმაყოფილია, რადგან ყაზახ ინვესტორებს უშუალოდ მინისტრი და მისი უწყება მაქსიმალურად ეხმარება და გვერდით უდგას. თავის მხრივ, ბატონმა კახამ განაცხადა, რომ ყაზახურ მხარესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სურს და ნებისმიერ პროექტს, რომელიც ორივე ქვეყანას სიკეთეს მოუტანს, მხარს დაუჭერს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მხარეები დაინტერესებულნი არიან კერძო სექტორის დონეზე კავშირების აღდგენით, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, ტურიზმის განვითარებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების პოპულარიზაციითა და მეცნიერების, განათლების, ინფორმატიკის, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებით. საუბარი ასევე შეეხო ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის საქმიანობას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვიზიტი წარმატებული გამოვიდა და ქართული მხარე ყაზახ სტუმრებს უკვე საქართველოში ელის. ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, თბილისში ყაზახი ინვესტორები და ბიზნესმენთა ჯგუფები ჩამოვა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ელექტროშოკის გამოყენებაზე უარს ამბობს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, თეა პერტაიას განმარტებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო აღარ გაუკეთებს ინიცირებას საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის მიხედვით პატიმრობის კოდექსში, სპეციალური საშუალებების ჩამონათვალში ელექტროშოკიც უნდა შესულიყო. პერტაია აცხადებს, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობისას სამინისტრომ გაითვალისწინა არასამთავრობო სექტორის მოსაზრება, რომელიც სპეციალური საშუალებების ჩამონათვალში ელექტროშოკის შესვლას არ იზიარებდა.

სამინისტრო მზადაა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას, გაეცნოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებს და კონსტრუქციული თანამშრომლობით ერთობლივად უპასუხოს სისტემის წინაშე არსებულ გამომწვევებს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ფუნდამენტური რეფორმის კანონპროექტი, რომელიც მთავრობისა და პარლამენტისთვის გაცნობამდე, სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას წარედგინა. მიღებული წინადადებების დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად კი შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც მთავრობას განსახილველად წარედგინება და გადაეგზავნება პარლამენტს.

სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ელექტროშოკის დაშვების შესაძლებლობის განხილვისას, სამინისტროს არგუმენტი იყო ის, რომ კრიტიკულ სიტუაციებში განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულთან უშუალო კონტაქტი თანამშრომლისთვის მაღალი საფრთხის შემცველია, ასეთ შემთხვევაში კი ელექტროშოკის გამოყენება არის თავდაცვის და არა დასჯის საშუალება: **„ელექტროშოკი გამოიყენება აშშ-ს 45 შტატში, ჩეხეთში, ფინეთსა და დიდ ბრიტანეთში. ამ მხრივ, დასავლური სტანდარტები არ გვზღუდავს, თუმცა მოცემული უწყების განვითარებისთვის ფასეულია ქვეყნის სამოქალაქო სექტორის მოსაზრებები. ამიტომ გადავწყვიტეთ, მთავრობას წარედგინოს კანონპროექტი, რომელშიც ელექტროშოკი გათვალისწინებული აღარ იქნება“.**

„პირველი“

ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ შეეფარდათ

გადაწყვეტილება მოსამართლე შორენა გუნცაძემ მიიღო, რომელმაც ბრალდებულებისთვის გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

„მოულოდნელი იყო ის ბრალდება, რაც 4 ნოემბერს წარმიდგინეს“, — განაცხადა ერთ-ერთმა ბრალდებულმა, გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა მედეა ბეთაშვილმა.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 24 დეკემბერს ჩაინიშნა.

მთავარმა პროკურატურამ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე ბრალი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს მედეა ბეთაშვილს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის მთავარ ექიმს მიხეილ ბესტაევს, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსს ოთარ ჯეჯეიას და შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯერებს: აკაკი გიორგაძეს, ლაშა გელოვანს და თორნიკე ხუბუას წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2201-ე მუხლის პირველი ნაწილით და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების სამ წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილისა და სოსო ცისკარიშვილის გზები „ტრაქტორების საქმეზე“ გაიყო!



მაია მიშელაძე
593-51-90-12

ვინ არიან „გოიმები“ და „სვეცკები“, რაფომ სჯობს ირაკლი ალასანია მინდია ჯანელიძეს და რაფომ უნდა მოიხადოს ბოდიში ბიძინა ივანიშვილმა

ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი, სოსო ცისკარიშვილი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ერთმანეთს პრესის საშუალებით ეპაექრებიან. მათი დაპირისპირება ახალ გადამწყვეტ ფაზაში მას შემდეგ შევიდა, რაც თავდაცვის ექსმინისტრმა, ირაკლი ალასანიამ ოპოზიციურ ფლანგზე გადაინაცვლა. როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე უშიშროების აკადემიადამთავრებული, წოდებით პოლკოვნიკი მინდია ჯანელიძე წარადგინა, სოსო ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ ჯანელიძე კრემლის საამებლად დანიშნეს, რადგან ადრე იგი „კაგებეს“ მსგავს სტრუქტურებში მუშაობდა. ამას ბიძინა ივანიშვილის პასუხი მოჰყვა: „ჩემთვის უცნობია, სად აქვს კვეთა მინდია ჯანელიძეს რუსეთთან, რის საფუძველზე აკეთებს ბატონი სოსო ამ განცხადებას? არ ვიცი, ბატონ სოსოს რა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ დაეხმარეთ მას და გაარკვიეთ, სად არის კვეთა ჯანელიძესა და რუსეთს შორის, ან რა შუაშია ეს ჭორები?“ „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი, ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირების დეტალებზე, ირაკლი ალასანიასა და მინდია ჯანელიძის შედარებით დახასიათებასა და საზოგადოების „გოიმებად“ და „სვეცკებად“ დაყოფის აქტუალურ თემებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, მინდა, დაგეხმაროთ და ერთად გავარკვიოთ, რის საფუძველზე განაცხადეთ, რომ მინდია ჯანელიძე კრემლის საამებლად დანიშნეს საქართველოს თავდაცვის მინისტრად, ან რა კავშირი აქვს რუსეთთან?

— სიტყვა რუსეთი, როგორც სუბიექტი, არ მიხსენებია. ჩანს, ბატონი ბიძინასთვის „კაგებე“ მხოლოდ რუსეთთან ასოცირდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირის 15-ვე რესპუბლიკაში

არსებობდა „კაგებე“ და ეს სტრუქტურა ეროვნულ ნიშანს არ ატარებს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, დაზვერვის დეპარტამენტთან ერთად, „კაგებეს“ სტრუქტურების ძირითადი საყრდენი იყო. სწორედ, „კაგებესთან“ ასოცირდება ამ დეპარტამენტის სათაური, რომელსაც მინდია ჯანელიძე ხელმძღვანელობდა და არა, ვთქვათ, მაია პლისეცკაიას „ფანკლუბთან“. რატომ გაუკვირდა ბატონ ბიძინას, რომ „კაგებეს“ მსგავს დაწესებულებად მიგვაჩნია კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, ვერ ვხვდები. რაც შეეხება რუსეთის სიამოვნებას ამ დანიშვნის გამო, ეს ჯანელიძის გვარს არ ეხება. სხვა თუ არაფერი, ამ გვარის მეუღლე მყავს, მაგრამ, როდესაც თავდაცვის მინისტრად პოლკოვნიკის ჩინის მქონე პირს ნიშნავენ, ეს წარსულში ნახტომია. 21-ე საუკუნეში, სამოქალაქო წრიდან წამოსული მინისტრები ჰყავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რადგან ეს ევროპული სტანდარტია. სამხედრო წოდებების მქონე თავდაცვის მინისტრები ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება მხოლოდ რუსეთს! რამდენიმე თვის წინ, ვაშინგტონში სტუმრობისას, ტერმინი „საჰაერო თავდაცვა“, ირაკლი ალასანიას ერთ-ერთ გამოსვლაში გაჟღერდა და იმავე დღეს, სრულიად დაუფარავად, დაბღვერილი მზერით, ტელეკამერების წინ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მოგვევლინა, რომელმაც დასვა კითხვა — ვის წინააღმდეგ აპირებს საქართველო საჰაერო თავდაცვის სისტემის გამოყენებას? სამწუხაროდ, ვერც ერთმა ჩვენმა პოლიტიკოსმა თუ თანამდებობის პირმა ვერ მონახა პასუხი ამ კითხვაზე. როგორ შეიძლებოდა, ასეთ პროვოკაციულ კითხვაზე ის მაინც არ დაფიქსირებულიყო, რატომ და რა შემთხვევაში იარაღდება ქვეყანა თავდაცვითი სისტემებით? როდესაც ალასანიამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა, რათა თავდაცვის სისტემა ჩვენი ქვეყნის რეალობა გამხდარიყო, სწორედ მაშინ დაიწყო სკანდალური გადაადგილება, წარმატებული მინისტრი თანამდებობიდან ლანძღვა-გინებით მოხსნეს. იმის მოწმენიც ვართ, რომ ორიოდე თვის წინ, საქართველოს სტუმრობდა აშშ-ს თავდაცვის მდივანი, რომელიც კომპლიმენტებს არ იშურებდა ალასანიას მიმართ, სანდო პარტნიორი და ახლო მეგობარი უწოდა. როგორც ჩანს, ასეთმა ფრაზეოლოგიამ ვიღაცის სმენა დააფრთხო, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც გარკვეული კვლევების საფუძველზე, ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ მინისტრად სწორედ ირაკლი ალასანია დასახელდა.

— ვინ გააღიზიანა ალასანიას პოპულარობამ და მაღალმა რეიტინგმა?

— უპირველეს ყოვლისა, ის, ვისი რეიტინგიც დაეცა. ამ კვლევის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის პოპულარობას საკმაოდ სერიოზული ვარდნა ჰქონდა, თუმცა ეს ბუნებრივი პროცესი უნდა ყოფილიყო, რადგან ერთი აქტიური მინისტრი, მეორე კი თავისუფალი მოქალაქე იყო, რომელიც სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებდა დედაქალაქში. აქ საწყენი არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როდესაც ახლადდანიშნული ვიცე-პრემიერი ალასანია ივანიშვილმა უმალვე ჩამოამინისტრა, დაპირისპირება მაშინ დაიწყო.

— მინდია ჯანელიძეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აკადემია აქვს დამთავრებული, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად, ირაკლი ალასანიამაც სახელმწიფო უშიშროების აკადემია დაამთავრა, მერე უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე იყო. თუკი უშიშროების აკადამიადამთავრებული ჯანელიძისთვის არ შეიძლება თავდაცვის მინისტრობა, ალასანიასთვის რატომ შეიძლებოდა და საერთოდ, რა განსხვავებაა მათ შორის?

— ჩემი აზრით, შეიძლება, ვისაუბროთ განსხვავებულ მიდგომებზე მეორე და მესამე ათასწლეულებს შორის. ირაკლი ალასანია უშიშროების სისტემაში მეორე ათასწლეულში მუშაობდა, მინდია ჯანელიძე — მესამე ათასწლეულში. ბატონი ალასანია თავისი ცნობიერებითა და მსოფლმხედველობით, გმირი მამის შთამომავალია, რომელიც უშიშროების სისტემის წარმატებული თანამშრომელი იყო. ალასანია-უმცროსს, უშიშროების მინისტრის მოადგილეობისას, ანტიტერორისტული მიმართულება ებარა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ მინდია ჯანელიძეს, იგი გადაწყვეტილებისმიმღები არ ყოფილა. მაშინ, როდესაც ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრიც კი ვერ იღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, იმაზე საუბარი, რომ რომელიმე მინისტრის მოადგილე ამ სისტემაში გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, უადგილო მგონია.

— ესე იგი, ბიძინა ივანიშვილამდე მივედით, რომელიც, თუ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს დავუჯერებთ, გადაწყვეტილებებს კულუარებში იღებს?

— დიახ, მივედით, მაგრამ მოდი, სხვა მხარეს გადავუხვიოთ. ნუ შეუვარდებით ამ ადამიანს კულისებში და ვუსურვოთ, კონსტიტუციურ ველში დაბრუნდეს. აქ ორი გზაა, ერთი — კონსტიტუციით გათვალისწინებული რომელიმე თანამდებობა დაიკავოს, ან რიგითი მოქალაქის სტატუსი იკმაროს, რომელიც ასევე კონსტიტუციითაა განსაზღვრული.

— ბიძინა ივანიშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვთ და ექსპერტთა კლუბში იწვევთ, რათა „თვითმარქვია“ ექსპერტებს გამოსამშვიდობებელი რაუნდი ჩაგიტაროთ. თქვენ თუ მოუხდით ბოდიშს „შპარგალკიან გოიმებს“?

— არა, რადგან „შპარგალკიანი გოიმი“ ჩემი ტერმინი არ არის. ასე არ მითქვამს. მე ჩემი გაკვირვება გამოვხატე და გაგიმეორებთ ფრაზას, რომელიც ვთქვი: „უნიჭო ალასანია, განსხვავებით ნიჭიერი ღარიბაშვილისგან, საჯარო გამოსვლებისას „შპარგალკით“ არ სარგებლობს“. ამის შემდეგ ვთქვი, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობა შთამბეჭდავი იყო, რადგან დარბაზში, რომელიც გადაჭედილი იყო, არც ერთი „გოიმი“ არ შემიმჩნევია.

— თქვენი აზრით, „გოიმები“ ვინ არიან?

— ჩემი აზრით, „გოიმობის“ ყველაზე მკაფიო მახასიათებელია თითოეული ადამიანის ფასეულობათა შკალა. ადამიანი, რომელსაც სამშობლოზე, სახელმწიფოებრიობაზე მნიშვნელოვნად საკუთარი კუჭი და ჯიბე მიაჩნია, ჩემთვის „გოიმია“.

— ასეთები „ქართულ ოცნებაში“ არიან?

— ოცნება რა შუაშია, საზოგადოებაშიც მრავლად არიან.

— მოკლედ, იმის თქმა გინდოდათ, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობას კუჭის მონები არ ესწრებოდნენ?

— დიახ, რადგან, ძირითადად, იდეური შემადგენლობა იყო. ბევრი ნაცნობი სახე ესწრებოდა, რომლებიც სხვადასხვა დროს, ჩარეცხილ-ჩაჯირყვნილი იყო. წინა ათწლეულების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ, როდესაც ეს ფენა პოლიტიკურ ველში აქტიურდება, გარკვეული ცვლილებები კარსაა მომდგარი.

— „გოიმებზე“ რომ საუბრობდით, ზვიად გამსახურდიას გამოსვლა გამახსენდა: „ჩემი მეგრელები და სვანები დამიცავენ“, შევარდნაძემ საზოგადოება რეინკარნირებულ „წითელ ინტელიგენციად“ და „ოკეანედალეულებად“ დაჰყო, სააკაშვილმა — „ჩარეცხილებად“. ახლა „გოიმებად“ და „სვეცკებად“ გვყოფთ, მაგრამ თქვენ რა გენაღვლებათ, ვაკელი ხართ და „სვეცკობა“ გარანტირებული გაქვთ, მე და ჩემნაირებმა რა ვქნათ, რომლებიც გარეუბნებში ვცხოვრობთ, სამუდამო „გოიმებად“ რატომ გვწირავთ, თანაც ის ადამიანი, რომელიც ქვეყანას „კულისებიდან“ მართავს, ბოლოს და ბოლოს, ჭორვილელია და მასთან მაინც არ გეუხერხულებათ?

— დროულად უნდა მივიღოთ სახელმწიფოებრივი ზომები იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, მრავალჯერ დაპირებული განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, აღმოიფხვრას. რასაკვირველია, ამ ტერმინების ნებისმიერი ინტერპრეტაცია შეიძლება, მაგრამ ეს არ მიგულისხმია. ვეცდები, წარმოგიდგინოთ ვაკელი „გოიმი“ და ჭორვილელი „სვეცკი“, რადგან ეს გეოგრაფიული ხასიათის ტერმინები არ არის. „სვეცკი“ და „გოიმი“ ანტონიმები სულაც არ არის, რადგან „გოიმის“ ანტონომი ჩემთვის უფრო პატრიოტია, ვიდრე „სვეცკი“ იმიტომ, რომ „სვეცკობა“ მოდერნიზებული „გოიმობაა“. ამ ტერმინოლოგიურ ნიაღვარში რომ არ ჩავიძიროთ, სოფლისა და ქალაქის ფასეულობათა დაახლოების თემას დავუბრუნდეთ. არსებობს რურალური, ურბანული კულტურები, მაგრამ 21-ე საუკუნეში ამ კულტუროლოგიური საფუძვლების სრულ გათანაბრებას უნდა მივაღწიოთ. სოფელი მდიდარი ბელელია ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური განვითარებისთვის, მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა სჭირდება. მაგალითად, სლოვაკეთში თვალდახუჭული რომ გატარონ გზაზე და მერე თვალები აგიხილონ, ვერც კი მიხვდებით, ქალაქში ხართ, თუ სოფელში. სწორედ ასეთ მოდელს ვგულისხმობ და ამიტომ ვამბობ, რომ სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავება უნდა მოიშალოს. ყველა სიკეთე, რაც ქალაქს გააჩნია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სოფელშიც. ვწუხვარ, რომ ორი წლის განმავლობაში არ მოხერხდა მთის კანონის მიღება ქვეყანაში. თუ დაცარიელებულ მთას დამსახურებული შეღავათები არ მივეცით, შესაძლოა, კავკასიონთან მისასვლელი გზაც კი აღარ დაგვრჩეს.

— მაინც არ მიპასუხეთ კითხვაზე, რატომ ითხოვთ ბოდიშის მოხდას ბიძინა ივანიშვილისგან და რა საჭიროა გამოსამშვიდობებელი, ბოლო რაუნდი ექსპერტთა კლუბში?

— უპირველეს ყოვლისა, ეს ბატონი ბიძინას ინტერესებში შედის, რათა ახალი ივანიშვილი დავინახოთ, რომელიც საკუთარი სიჯიუტის მაღალი კოეფიციენტითაა ცნობილი. როდესაც არსებობს დოკუმენტები და მტკიცებულებები, დამამცირებელი არ უნდა იყოს, ბოდიში მოუხადოს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ლაშა ნაცვლიშვილის უმწიკვლობაში არწმუნებდა.

— კონკრეტულად „ტრაქტორების საქმის“ გამო ითხოვთ მისგან ბოდიშის მოხდას?

— რასაკვირველია, აბა, სხვა მხრივ, ძალიან ბევრ საკითხზე ჩვენი აზრები ემთხვეოდა და ემთხვევა. „ტრაქტორების საქმის“ გარდა, კიდევ ერთი გამონაკლისი ის არის, რომ პრეზიდენტს, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო არჩეული, მეტი უფლება უნდა ჰქონოდა, ვიდრე საკაშვილმა დაახვედრა. სინამდვილეში, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე, კონსტიტუციის დამატებითი გატყავების პროცესი დაიწყო, რომლის შედეგად, პრეზიდენტის უფლებამოსილებები პრემიერ-მინისტრს გადაეცა.

— ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც ივანიშვილის გვერდით იდგა, მისი გულშემატკივარი იყო. თქვენ შორის შავმა კატამ როდის გაირბინა?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სხვა არჩევანი ჩემს ქვეყანაში არ არსებობს. მე ვარ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი, რადგან ამ კაცის მიერ განეული უპრეცედენტო ქველმოქმედება საკუთარი ქვეყნის მიმართ, ისტორიული მნიშვნელობისაა და მისი არგახსენება უმადურობაა. ზოგადად, უმადურობა მიუღებელია, მაგრამ, როდესაც ადამიანი, რომელიც ჩემთვის ღირებულია, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რაც უპირველეს ყოვლისა, მასვე ვნებს, ვცდილობ, რეაგირება მოვახდინო. არ მაქვს რა მასთან პირადი ურთიერთობა, იძულებული ვარ, საჯარო საშუალებებით მივაწვდინო ხმა, რაც ალბათ, არ სიამოვნებს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვიქტორ დოლიძე: „ბიძინა ივანიშვილს კოალიციაში ჩვენი დარჩენა არ სურდა...“

ეროვნულ შელია
557-100-768

ყოფილმა პრემიერმა „თავისუფალ დემოკრატებს“ გარიგება შესთავაზა?

„ჩვენი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა“, — აცხადებს იმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც რამდენიმე დღის წინ სახელისუფლო კოალიციას გამოეყო და ამ ეტაპზე, ოპოზიციაში თავის დასამკვიდრებლად იღვწის. ირაკლი ალასანიას გუნდმა პარტიის ყრილობაზე 2016 წელს გამარჯვება და მტრის კარში გოლის გატანა დააანონსა კიდეც, თუმცა მანამდე საზოგადოება მათგან განმარტებას ელის — რაში გამოიხატება ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების საფრთხე და ვინ ებრძვის კოალიციაში პროდასავლურ ძალებს? „ვერსია“ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერთან, პარლამენტში საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— საკმარისზე მეტი დრო გავიდა, თქვენ პარტიას დაეკონკრეტებინა, ვინ ცვლის ქვეყნის საგარეო ვექტორს. ასეთი განმარტება რატომ ვერ მოვისმინეთ?

— ჩვენ არ გვითქვამს, რომ ქვეყნის საგარეო კურსი შეიცვალა ან იცვლება. პროკურატურისგან თავდაცვის სამინისტროზე შეტევამ ქვეყნის ნატო-სკენ სვლას საფრთხე შეუქმნა, რადგან ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვანი რგოლია. სწორედ ეს ვიგულისხმეთ განცხადებებში. არ შეიძლება საზღვარგარეთ მყოფ მინისტრს ზურგში ლახვარი ჩასცე. სხვა მხრივ, პარლამენტს ან პრემიერს დასავლური კურსიდან არ გადაუხვევია.

— დავაზუსტოთ, საფრთხე მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებაში დაინახეთ და კოალიციაში პრორუსული ძალების ინტერესები არ გადაკვეთილა?

— რა თქმა უნდა! არ არის სასიამოვნო, როცა ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე, ალექსი პეტრიაშვილი და დავით ზალკალიანი ხელისუფლებიდან მიდიან, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეს. ვის თავში იხარშებოდა ალასანიაზე შეტევა და მისი ხელისუფლებიდან წასვლის სცენარი, ვერ გეტყვით, მაგრამ კითხვები ლოგიკურად გაჩნდა. ამ ადამიანებთან ერთად სერიოზულ ბრძოლაში ვიყავით, მათთან ერთად უამრავი საქმე გავაკეთეთ და ხელისუფლებაში ვიქნებით თუ ოპოზიციაში, „თავისუფალი დემოკრატები“ დასავლური კურსის გასაძლიერებლად მუშაობას მომავალშიც განვაგრძობთ. მხოლოდ მეგობრობა ხომ არ არის, თითოეული ჩვენგანი, პირველ რიგში, სახელმწიფო პრინციპებსა და ღირებულებას უნდა დაეფუძნოს.

— გამოდის, მაია ფანჯიკიძისა და ალექსი პეტრიაშვილის გადაწყვეტილება ოჯახურ სოლიდარობაზე დაფუძნებული საბოტაჟი იყო, რადგან საგარეო ვექტორის ცვლილებას თავადვე უარყოფთ, არა?

— ეს სოლიდარობა იყო მეგობრული... სახელმწიფოებრივიც, რადგან, როგორც გითხარით, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ. ჩვენ თუ საბოტაჟნიკები ვართ, კარგად ყოფილა საქმე. როგორც საპარლამენტო, ისე აღმასრულებელ დონეზე თავდაუხრელად ვმუშაობდით. მაინტერესებს, სხვას რას ელით? ჩემი აზრით, აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. დასავლეთში ქვეყნის პრესტიჟის ასამაღლებლად ყველაფერი გავაკეთეთ. ამიტომ საბოტაჟსა და ავანტიურაზე საუბარი, უხერხულია.

— და მაინც, ირაკლი ალასანიამ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანით გამოძიებას ხომ არ დაასწრო და თავი დაიზღვია?

— ალასანიას კორუფციული სქემა არ გაიშვა! არასოდეს გვითქვამს, გამოძიება არ ჩატარდესო, მხოლოდ დაკავებული ადამიანების გამოშვებას ვითხოვთ, რათა მათზე ზეწოლა არ განხორციელდეს. არ გამოვრიცხავ, გამოძიება ირაკლი ალასანიამდეც მივიდეს. ისე განვითარდა პროცესები, ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა ეს მორიგი შეცდომა იქნება. რამდენი შეცდომა უნდა დაუშვას ხელისუფლებამ ერთბაშად?

— ირაკლი ალასანიამ არ დაუშვა შეცდომა, როცა პოლიტსაბჭოზე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა იუკადრისა, მეორე დღეს კი, ბიზნესცენტრში თავად ეახლა ყოფილ პრემიერს?

— პოლიტსაბჭოზე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა არ იგეგმებოდა. გვეგონა, კოალიციის მოქმედ ლიდერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ვხვდებოდით, თორემ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის ოფისში ყოფნა ჩვენთვის განსაკუთრებული სიურპრიზი არ ყოფილა. მასთან საუბრის პრობლემა არ გვქონდა. პირიქით, მეტი კომუნიკაციის მომხრე ვართ. უბრალოდ, სხდომაზე საკმაოდ უსიამოვნო საუბარი წარიმართა.

— ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას დაჭერით რეალურად დაემუქრა?

— არა, ბიძინა ივანიშვილს დეტალებში უნდოდა ჩაძვრომა და კოალიციის მომავალზე არაფერი უთქვამს. სხდომაზე თავიდანვე კოალიციის დასატოვებლად მივედით, მაგრამ არ ველოდით, თუ ყოფილი პრემიერი ამ კითხვებს დასვამდა.

— ანუ ბიძინა ივანიშვილსაც არ უნდოდა კოალიციაში თქვენი დარჩენა?

— დიახ, ვიგრძენი, ბიძინა ივანიშვილს კოალიციაში ჩვენი დარჩენის სურვილი არ ჰქონდა. პარტნიორობას თავის წესები აქვს. დეტალებზე საუბარი არ მინდა... საბოლოოდ, ერთმანეთს კონსტრუქციულად დავშორდით. მეორე დღეს, ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილს შეხვდა და კაცურად ილაპარაკეს. არ ვართ ის ძალა, რომელიც ორ კაცში ნალაპარაკევს გარეთ გამოიტანს, ამიტომ ვერც ამ დეტალებს გაგიმხელთ. თუმცა აბსურდია, რაც გარიგებაზე ითქვა, „თავისუფალი დემკრატები“ გარიგებაზე არ წავლენ.

— ისე, პოლიტიკური გარიგება შემოგთავაზეს? ნაციონალების ჩამნაცვლებელ ძალად უკვე მოაზრებით.

— არა, მათაც არ უცდიათ. არ გვაქვს ნაციონალების ჩანაცვლების სურვილი, მათგან ფუნდამენტურად განსხვავებულ პოზიციაზე ვართ. დრო გვაჩვენებს, რომელ ადგილს დავიკავებთ. ჩვენი პოლიტიკური წონა კარგად ვიცით, ამიტომ ჩვენი მიზანი ნაციონალების გასწრება კი არა, ხელისუფლებაში მოსვლაა.

— ამას ბიძინა ივანიშვილის გარეშე შეძლებთ?

— რატომ ვერ შევძლებთ?

— თქვენ პოლიტიკურ წარსულს თუ გადავხედავთ, ვერც ერთიანი ოპოზიციის კანდიდატად დასახელებამ მოგიტანათ გამარჯვება.

— უმადურობა არ მიყვარს, ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს უდიდესი საქმე გააკეთა. უნდა ვაღიაროთ, არჩევნებში გამარჯვებაში ბიძინა ივანიშვილის ლომის წილი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი დახმარების გარეშე ხელისუფლებაში სხვა პარტია არ უნდა მოვიდეს. დღეს საზოგადოება პოლიტიკურად საკმაოდ მომწიფებულია და სწორ ანალიზს აკეთებს. გეგმა ბევრი გვაქვს, მაგრამ დრო ბევრი არ არის.

— ამიტომ არ ტოვებთ პარლამენტში მაღალ პოსტებს?

— მინისტრი რომ ვყოფილიყავი, თანამდებობაზე არ დავრჩებოდი, მაგრამ საპარლამენტო ტრიბუნის გამოუყენებლობა, შეცდომაა. ეს სხვის შეცდომებზეც უნდა ვისწავლოთ. ბუნებრივია, ტრიბუნის ვიწროპარტიული ინტერესებისთვის გამოყენებას არ ვაპირებთ, ამას არც ვიკადრებთ, მაგრამ ევროპასთან ასოცირების ფარგლებში უამრავი რეფორმაა გასატარებელი. სხვათა შორის, მეგობრები ევროპარლამენტიდან დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ ეს სწორი ნაბიჯია და თანამდებობიდან ჩვენ წასვლას არ მოიწონებდნენ.

— საგარეო კომიტეტს ხელმძღვანელობთ, თუ ხელისუფლებასთან კითხვები გაქვთ, დასავლეთში ქვეყნის წარმატებებზე საუბარს მოახერხებთ?

— როგორც ვთქვი, საგარეო მიმართულებით საფრთხე არ არსებობს, მაგრამ რომ იყოს, თანამდებობაზე მარტო იმიტომ უნდა დარჩე, მას ებრძოლო.

— ამ ლოგიკით, მაია ფანჯიკიძეც პოსტზე უნდა დარჩენილიყო.

— აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანო ერთმანეთისგან განსხვავდება.

— ახალ საგარეო საქმეთა მინისტრზეც გკითხავთ. გაქვთ ინფორმაცია, როგორ დაითანხმეს მაია ფანჯიკიძესთან ერთად თანამდებობიდან წასული თამარ ბერუჩაშვილი მინისტრის პორტფელზე?

— როგორც ვიცი, პრემიერთან ისაუბრა და გადაწყვეტილება ამის შემდეგ შეცვალა. სხვა ინფორმაცია არ მაქვს. თამარ ბერუჩაშვილი პროფესიონალურად მართლაც კარგი კანდიდატია და წარმატებებს ვუსურვებ, მან ეს საქმე კარგად იცის. იმედი მაქვს, საქართველო ევროპული ოჯახისკენ სვლას გააგრძელებს.

ბიძინა ივანიშვილისა და სოსო ცისკარიშვილის გზები „ტრაქტორების საქმეზე“ გაიყო!

მე-3 გვერდიდან

— პირველად როდის განიხიბლეთ — საკონსტიტუციო ცვლილებების დროს, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილებების ნაწილი პრემიერ-მინისტრს გადაეცა?

— სხვათა შორის, განხიბლვის წინაპირობა ჩვენი პარლამენტის ერთგული წევრების გამონათქვამები იყო ივანიშვილის მიმართ. იმდენად მაამებლური იყო ეს განცხადებები, თანაც გაუთავებელი ტელედებატების ფონზე, იმდენად აჟიტირებული იყო მათი დამოკიდებულება ივანიშვილის მიმართ, რომ საფრთხე დავინახე: თავად ეს კოალიცია, რომელიც ივანიშვილმა შექმნა, მისივე საკუთრებას ხომ არ წარმოადგენდა? მესმის, მთელი ეს გუნდი ივანიშვილმა შეარჩია, თითოეულმა ინდივიდმა სიკვდილამდე ამ ადამიანის ვალდებულად უნდა ჩათვალოს თავი, მაგრამ, როდესაც 6-სუბიექტიან პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენენ, მათი დამოკიდებულება ივანიშვილთან, პატრონთან ურთიერთობას არ უნდა დაემსგავსოს.

— ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი შექმნა, რომელსაც გია ხუხაშვილი ჩაუდგა სათავეში, არადა, ექსპერტთა კლუბი უკვე არსებობდა. ინტერესთა კონფლიქტი ხომ არ წარმოიშვა თქვენსა და გია ხუხაშვილს შორის ანუ ბიძინა ივანიშვილს მაშინ ხომ არ დაუპირისპირდით, როდესაც ხუხაშვილისკენ გადაიხარა?

— ასე არ ყოფილა. როდესაც ეს ინსტიტუტი იქმნებოდა, რამდენჯერმე იყო ჩემთან სახლში ბატონი გია, რომელიც დაბეჯითებით მთხოვდა, საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვყოფილიყავი. ვერ ვხედავდი ასეთ აუცილებლობას, როდესაც კლუბში ყველა მიმართულებით გყავდა ავტორიტეტული, სანდო და პროფესიონალი პირი. გარდა ამისა, თუ რომელიმე თემა იქნებოდა დასამუშავებელი, მზად ვიყავით ნებისმიერი თანამშრომლობისთვის ამ ინსტიტუტთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შორის კონკურენცია ვერ იქნებოდა, რადგან სხვადასხვა საქმით ვიყავით დაკავებულები. ექსპერტთა კლუბის წევრები კლუბის თანამშრომლები არ არიან, აქ არავინ და მათ შორის მეც, ხელფასს არ ვიღებთ.

— გასაგებია, რომ ხელფასს არ იღებთ, მაგრამ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი ივანიშვილმა დააფინანსა. ასე რომ არ ყოფილიყო, ექსპერტთა კლუბი დაფინანსდებოდა და ამის გამო ხომ არ დაუპირისპირდით მას?

— ეს ინსტიტუტი გია ხუხაშვილს არ შეუქმნია. იდეა ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის, რომლის შესახებაც თვითონვე მითხრა. ბატონმა ბიძინამ ისიც კი გამიმხილა, რომ ბოლო დროს, ყველაფერს უნივერსიტეტი და აკადემია ჰქვია, ქვეყანაში მხოლოდ ერთი, თავისუფლების ინსტიტუტი არსებობს და ამიტომ უმჯობესი იქნება, ახალ ორგანიზაციას საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი ვუწოდოთო. 2012 წლის მაისში, ჩვენი ნაშრომი საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი გამოიცა, რომელიც „ქართუ ფონდმა“ დააფინანსა. ჩემსა და ხუხაშვილს შორის, არავითარი კონფრონტაცია არ ყოფილა.

— ბიძინა ივანიშვილი და თქვენ, პრესის საშუალებით პაექრობთ და იქნებ მიპასუხოთ, როდის გაიყო თქვენი გზები?

— როდესაც ბატონი ბიძინა დარწმუნდა, რომ ექსპერტთა კლუბის ყველა წევრი კატეგორიულად უარყოფდა იმ პოზიციას, რომელსაც „ტრაქტორების საქმესთან“ დაკავშირებით თავს გვახვევდა, აქედან წასვლის შემდეგ, თავის თანაშემწეს გადაულაპარაკა, ამიერიდან, აქ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო. მართლაც, მას შემდეგ ექსპერტთა კლუბში ბიძინა ივანიშვილი აღარ მოსულა.

— ბიძინა ივანიშვილი ახალ ექსპერტთა კლუბს ქმნის, რა ტიპის იქნება ან კონკრეტულად ვის იწვევს?

— ექსპერტთა კლუბს დაარქმევს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ „ნოუ ჰაუს“ იმედი ნუ ექნება. როდესაც 2008 წლის ოქტომბერში, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი ჩამოვაყალიბეთ და ჩვენს პირველ განხილვაზე, მაშინდელი საპარლამენტო უმრავლესობიდან ერთი-ორი ემისარი გამოგზავნეს, ათიოდე დღეში ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარი ექსპერტთა კლუბი შექმნა, რომელიც, თუ არ ვცდები, დღესაც არსებობს და მაღალი კვალიფიკაციის მქონე „ჩეკისტებითაა“ დაკომპლექტებული. ამ კლუბს ბატონი კიკნაძე ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე, აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო. შესაბამისად, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ჩვენი კლუბისთვის ახალი, თუნდაც ამ ტიპის ორგანიზაციის შექმნა. დარწმუნებული ვარ, ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი იქნება, ოღონდ ვისურვებდი, რომ ბატონმა ბიძინამ ის ექსპერტებიც ისევე არ დაახასიათოს, როგორც მისი ფავორიტი პრემიერ-მინისტრი დაგვიხასიათა, როდესაც გულწრფელად ბრძანა, ღარიბაშვილს მეორედ თქმა არ სჭირდებაო. ჩვენ თუ ახლა კიდევ 30 ისეთი პირი მივიღეთ ექსპერტების სახით, რომლებსაც ივანიშვილი მეორედ არაფერს გაუმეორებს, ცხადია, მეგობრულად ვურჩევთ, ახლავე დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი დაირქვან და ბოლომდე დამოუკიდებლები იყვნენ.

— თქვენი სიძე, რატი ამაღლობელიც ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი იყო, რომელიც ბოლოს ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობაზე ვნახეთ. ის რატომღა დაუპირისპირდა ივანიშვილს?

— მგონი, ბატონი ბიძინა დიდი ხანია შეჩვეულია, რომ რატის არავისზე ნაკლები თავისუფლების ხარისხი არ აქვს. ჩემთვის ცნობილია, რომ ბატონი ბიძინას აპარტამენტებში მათი კამათი, ერთმანეთთან ურთიერთობის ჩვეული ფორმა იყო.

— ახლადარჩეულმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კოალიციის შიგნით, ოპოზიციური გაერთიანების შექმნას თვითონვე შეუწყობდა ხელს. ამ ლოგიკით, ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილს თამაშს თამაშობს?

— მგონი, ასეთი ვერსია მთლად ჯანსაღი ფანტაზიის შედეგი არ უნდა იყოს.

— ნინო ბურჯანაძის მიმართ თქვენი სიმპათია დიდი ხანია ცნობილია და ისიც კარგად ვიცი, ბიძინა ივანიშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის „შუამავლები“ თქვენ და გოგი თოფაძე იყავით, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგს ვერ მიაღწიეთ. ახლა ირაკლი ალასანიას ღიად უჭერთ მხარს, თუმცა ალასანიასა და ბურჯანაძის ერთობა წარმოუდგენელია. არ დაგიმალავთ, უკვე მართლა დავიბენი...

— ალასანიასა და ბურჯანაძის დაახლოება-დამეგობრობის სურვილი უშედეგო მცდელობა იქნება, ამიტომ ამაზე დროის კარგვა არ ღირს, თუმცა ჩემი დამოკიდებულება ორივემ კარგად იცის. ისინი ერთმანეთისთვის მიუღებელი კონკურენტები არიან, ჩემთვის — არა. ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელთანაც ვურთიერთობ, ყოველთვის ვცდილობ, თვითკრიტიკის თუნდაც მეასედი პროცენტი დავნერგო. დროა, ამომრჩეველმა თვითკრიტიკული შეფასებაც მოისმინოს და შეცდომის გამოსასწორებლად გადადგმული ნაბიჯებიც დაინახოს.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ვპირდები ბიჭებს, ციხიდან რომ გამოვლენ ეს ხელისუფლება აღარ დახვდებათ“

აკაკი ბობოხიძეს სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეაქვს

2014 წლის 28 მარტს სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბისა და თაღლითობის ორგანიზების ფაქტზე, ხონის საკრებულოს წევრი და პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის ძმა, ლევან ბობოხიძე დააკავეს. მასთან ერთად ბრალი ნიკოლოზ კირთაძეს, ხონის გამგებელ ზურაბ ჯიბუხაიასა და მის მოადგილე ბესარიონ ჭელიძეს წაუყენეს. ლევან ბობოხიძე მარტში საპროცესო გარიგებით გამოვიდა, ჭელიძე და ჯიბუხაია კი წინასწარ პატიმრობაში დატოვეს, ხოლო რამდენიმე დღის წინ ქუთაისის სასამართლომ ოთხივე პირს რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ძმის დაკავების დეტალებსა და რამდენიმე მიმდინარე თემაზე „ვერსიამ“ ინტერვიუ ნაციონალ დეპუტატ აკაკი ბობოხიძესთან ჩაწერა, რომელიც ირაკლი ალასანიას უხერხემლოს უწოდებს, კოალიციას „აჯაფსანდალს“, დაკავებულებს კი პირდება, რომ ციხიდან როცა უნდა გამოვიდნენ, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ დახვდებათ.

— ბესო ჭელიძე და ზურა ჯიბუხაია ამ საქმეზე 9 თვე წინასწარ პატიმრობაში ჰყავდათ. „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს აქტიური ადამიანები ადგილობრივი არჩევნების წინ ბრძოლისთვის ჩამოეშორებინა. ახლა კი, ლევან ბობოხიძე ციხეში რომ არ ჩაესვათ, ჯიბუხაიასა და ჭელიძის დარბაზიდან გათავისუფლება მოუწევდათ, რაც „ოცნებისთვის“ პოლიტიკური კატასტროფა იქნებოდა. გამოდის, ხელისუფლებას უნდა ეღიარებინა, რომ ეს ხალხი ციხეში არჩევნების გამოსატოვებლად ჩასვეს. ეს რომ არ მომხდარიყო, ყველაფერზე წავიდნენ და საქმე შეკერეს. საქმეში ერთადერთი ჩანაწერი დევს, სადაც არის ჩემი ძმის ფრაზა, რომელსაც გამგებელს ეუბნება: „დროზე მიეცით, ნუ აწვალებთ ხალხს!“ ასეთი რამ კი, საკრებულოს ნებისმიერ წევრს, ნებისმიერ თემაზე შეეძლო ეთქვა გამგებლისთვის.

— თქვენს ძმას საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეს. საქმე ხე-ტყის მითვისების სკანდალს ეხება. დეტალები დააკონკრეტეთ.

— 2010 წელს ხონის მუნიციპალიტეტს, სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის დასარიგებლად ხე-ტყის ფონდი გადაეცა. როგორც ირკვევა, განცხადება დაწერა სამმა ჯგუფმა: ვინც ხე თავად მოიხმარა, ვისაც ნიკოლოზ კირთაძემ სთხოვა, ხე-ტყე მისთვის დაეთმო და ვისაც იგივე თხოვნით მეწარმე ვალერი ქათამაძემ მიმართა. კირთაძე, ჩემი ძმის მსგავსად, საპროცესოთი გამოუშვეს და თანხას ამ მეთოდით აგროვებდა. ვალერი ქათამაძე კი, რომელიც ჩემს ძმას ბავშვობიდან იცნობს, აცხადებდა, მის შესახებ მხოლოდ მსმენიაო და გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა. ფაქტია, ყველას, ვინც განცხადება დაწერა, დახმარება რეალურად სჭირდებოდა. თუმცა ზოგს ამ ხის ტრანსპორტირების ფული არ ჰქონდა, ზოგს კი ხე საერთოდ არ სჭირდებოდა, კუთვნილი დახმარება აიღო და გაყიდა. გამგებელს ამის შესახებ რომც სცოდნოდა, უფლება მაინც არ ჰქონდა, განცხადების დამწერთათვის ხე არ მიეცა. თავის კანონიერ საკუთრებაში არსებული ხე კი, ვინ სად წაიღო, აღარავის ეხება. სასამართლოში ითქვა, კირთაძემ მარტო ის ხე-ტყე კი არ მიითვისა, რაც რამდენიმე ადამიანმა დახმარების მიზნით აჩუქა, არამედ ხის საამქროს მეპატრონე ვალერი ქათამაძის ხე-ტყეც წაიღოო. საქმე ისე შეიკერა, თითქოს სქემა ჩემმა ძმამ მოიფიქრა, მთელი ფული კი კირთაძემ მიითვისა. ამ დროს, კირთაძეს საშეშე მასალა ქათამაძის საამქროსთვის ტყიდან ჩამოჰქონდა. მოკლედ, „ოცნება“ ჭაობში ჩაეფლო და უღირსი გამოსავალი იპოვა.

— და მეორე ბრალდება, რომ თქვენი ძმა 2006-დან 2012 წლამდე ხალხს საწევროს სახით ხელფასის 10%-ს ახდევინებდა?

— ჩემი ძმა ამ ნაწილში სრულადაა გამართლებული! ბრალდების მხარემ მოწმედ „ოცნების“ რამდენიმე აქტიური მომხრე მოიყვანა. თუმცა მათაც თქვეს, ფულის დადება არავის დაუვალებია, გვეგონა, რომ არ დაგვედო, სამსახურიდან გაგვყრიდნენო. ბოდიში, მაგრამ ამ ხალხის პირად მოტივებთან ლევან ბობოხიძე რა შუაშია? საწევროს 70 კაცამდე დებდა, ეს ფული კი ჩვენს იმ თანამებრძოლებს ხმარდებოდა, ვისი დასაქმებაც სხვადასხვა მიზეზებით ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, როცა ვიღაცას ბავშვი ჰყავდა ავად, მის პოლიტიკურ წარმომავლობას არ ვარჩევდით და „ოცნების“ წევრებსაც დავხმარებივართ. რომ იცოდეთ, მიუხედავად ლეგენდებისა, ხონი ერთადერთია, სადაც არასდროს არცერთი ოპოზიციონერი არავის შეუვიწროებია.

— აბა, ძმებ ბობოხიძეებს „საარჩევნო“ ზონდერებს რატომ გეძახიან?

— ეს ლეგენდებია! ჰკითხეთ ბატონ ძიძიგურს, ბატონ ბერძენიშვილს 2007, 2008 წლებში, როცა აქციებს ატარებდნენ, როგორ ხვდებოდა ლევან ბობოხიძე ხონში, თუ მარტვილისკენ მიმავალ გზაზე და ოდესმე ხელი თუ შეუძლია?! ხონი ერთადერთია, სადაც ბიძინა ივანიშვილს, 2012 წელს, პირველივე მოთხოვნაზე დაეთმო დარბაზი. ლეგენდებია, თითქოს ბობოხიძე კლავდა, ცოცხლად ატყავდებდა და ჭამდა ადამიანებს. ჩვენ „ოცნებამ“ ამ ჭორებით დაგვამარცხა! მთელი ხონი ხომ ჩვენი იყო, მაგრამ დღეს, რატომღაც აღმოჩნდა, რომ ხონში ბობოხიძეების არაფერია. ამ დროს, „ოცნების“ წარმომადგენლებისაა აფთიაქები, მაღაზიები, რესტორნები, ბაზრობები. ჩვენი კი იმ ერთი ოთახის გარდა, სადაც პარტიის ოფისია განთავსებული, არაფერი გვაქვს და არც გვინდა. ხონია ის რაიონი, სადაც ჯიბუხაიამ 42%, ნაციონალებმა კი — 37% აიღეს! ვაგრძელებ ჩემს ძმასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ ბრძოლას, მათ შორის ქვეყნის გარეთაც და სტრასბურგის სასამართლოსაც მივმართავთ! ამ ხელისუფლებას დიდი დღე არ უწერია — რა ვადაც უნდა მოიხადონ ბიჭებმა ციხეში, ვპირდები, გარეთ რომ გამოვლენ, ეს ხელისუფლება აღარ დახვდებათ!

— ეს მუქარაა?

— არაა მუქარა. თუ ამ ქვეყანას მომავალი უწერია, მაშინ „ოცნება“ 2016 წელს ვერ გაიმარჯვებს. თუ მოხდა სასწაული და გაიმარჯვა, ხალხი იმას მიიღებს, რაც დაიმსახურა.

— ან, შესაძლოა, დანარჩენებს ციხეში თქვენ შეუერთდეთ — ამბობენ, ე.წ. დასაჭერების სიაში ყოფილხართ.

— ძალიან მეწყინებოდა, დასაჭერების სიაში რომ არ ვყოფილიყავი. საერთოდ, დაჭერები საქართველოში ის გზა არაა, რომელიც ამართლებს – ამან არც ჩვენი ხელისუფლების დროს გაამართლა და არც ახლა ივარგებს ამ გზით სიარული.

— მაშინ რატომ ამბობთ, რომ პოლიტპატიმრები არ გვყავს?

— რას ამბობთ, თუ ჩვენ რამეს ვერიდებოდით, სწორედ პოლიტიკოსების დაჭერა იყო. დღეს ჩვენ ქვეყანაში „ბესელიას პოლიტპატიმრები“ არიან. სხვათა შორის, ბესელიას ოჯახის წევრებსაც და არამარტო მათ, ვერიდებოდით, ვიდრე ზედმეტებში არ გადადიოდნენ. ჩვენ ვიჭერდით კრიმინალებს, პოლიტიკურ ლიდერებთან კი ზედმეტად ფრთხილი დამოკიდებულება გვქონდა და ვფიქრობ, შეცდომა არ დაგვიშვია. ჩვენ ის შეგვეშალა, რომ სახელმწიფო და პარტია ერთმანეთთან გავაიგივეთ და ძალოვანებს არა მარტო ოპოზიციასთან ურთიერთობაში, არამედ შიდაპარტიულ კონკურენციაში ჩართვის საშუალებაც მივეცით. სხვათა შორის, ამ ძალიან დაბალი სულის ხელისუფლებამ იკადრა და ჩემი ძმის წინააღმდეგ 2010 წელს შექმნილი ჩანაწერი გამოიყენა. ასე რომ ეს მარტო ნაციონალების კი არა, „ქართული ოცნების“ სირცხვილიცაა.

— მერე, რა არის გასაკვირი, რომ დღეს „ჩაწერების პოლიტიკა“ თქვენს წინააღმდეგ შემობრუნდა?

— სწორედ ამ შეცდომის და კიდევ იმის გამო ვაგებთ პასუხს, რომ ძალოვანები, პარტია და სახელმწიფო ერთმანეთში აიზილა. დღეს კი „ოცნებამ“ ჩვენი სახით ხალხში „ბუა“ შეაგდო და გადატრიალება გინდათო, სწორედ ის ხალხი გვიკიჟინებს, ვინც „დუბინკებითა“ და „მოლოტოვის კოქტეილებით“ დარბოდა, რაზმებს აყალიბებდა და ტყვიავიდან გრუ-სა და ოქრუაშვილის მომხრეებს ელოდა. ხელისუფლებაში ახლა დიდი „აჯაფსანდალია“. ეს ის ხალხია, ვინც ხან ბურჯანაძის ზურგსუკან იდგა, ხან — „გრეჩიხების“, დღეს კი — ბიძინა ივანიშვილის.

— თქვენ ზურგსუკან რომ იდგნენ, ეგ პერიოდი რატომ გამოტოვეთ?

— რა თქმა უნდა, იგივე „სასტავია“, მაგრამ ეს არაფერს ცვლის — ქვეყანა ინგრევა. „ოცნება“ ვალს იღებს, რომ პენსიები დაარიგოს, ჩვენ კი ვალებს ქვეყნის ასაშენებლად ვიღებდით. პენსიონერს ეს ამბავი სულ არ აინტერესებს და ფიქრობს, ჩემი ფული, საიდანაც უნდათ, მომცენო, მაგრამ ცოტა ხანში ყველას დედა გვეტირება, ხალხო! პოლიტიკური კრიზისი უკვე გვაქვს, „ოცნებას“ კი ერთ რამეს შევახსენებ — დღეს მისი საპარლამენტო უმრავლესობა სწორედ ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წევრმა გადაარჩინა. 2012 წლის მერე, წვეთი სისხლი არ დამილევია, ერთი კაციც არ შემიჭამია, მაგრამ მანამდე თუ ჩვენ ვინმეს ვჭამდით და სისხლს ვსვამდით, ამას სწორედ იმ ადამიანებთან ერთად, ვაკეთებდით, ვინც დღეს „ოცნებაში“ გადაბარგდა. „ოცნება“, რომელიც დღეს ალასანიას უკიჟინებს ნაციონალებთან მოსალოდნელი ალიანსის შესახებ, თავის რიგებში იღებს ნაციონალებს!

— ისე, ალასანიასთან პარტნიორობას მართლა აპირებთ?

— თუ ქვეყანას დასჭირდება, ალასანიასთან პარტნიორობისთვისაც მზად ვართ.

— თუმცა ალბათ ის თქვენი ნომერპირველი კონკურენტია. ბევრი ვარაუდობს, რომ ოპოზიციურად განწყობილი სეგმენტი ხმას მთლიანად ალასანიას მისცემს.

— და ის 25%, ვინც მხარს გვიჭერს გაქრება სადმე? ვინაა ჩვენი კონკურენტი, უხერხემლო ალასანია? კაცი, რომელიც წინა დღეს ამბობდა, ბიძინა ივანიშვილს არ დაველაპარაკები, რადგან უფლებამოსილი პირი არააო და მეორე დღეს მასთან სალაპარაკოდ მის სახლში ავიდა და კაცმა არ იცის, რა დაზღვევები გაიკეთა?! რა თქმა უნდა, ამ კაცისგან არანაირ საფრთხეს არ ველი!

— რას აპირებთ 15 ნოემბერს, რისთვის ემზადებით?

— ჩვენი მთავარი გზავნილი იქნება, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის აფხაზეთის ანექსია რიგითი საკითხი არაა. „ოცნების“ მიერ გატარებული დათმობის, მიჩუმათებისა და კულუარებში გადატანის პოლიტიკა კი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია!

ვერსიანიუსი

ევროკავშირი რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების შესაძლო გაფორმებაზე შეშფოთებას გამოთქვამს

ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის მე-10 კონსოლიდირებული ანგარიში — „კონფლიქტი საქართველოში“ განიხილეს. ანგარიში 2014 წლის აპრილიდან 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. ევროსაბჭო განაგრძობს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს იმ ვალდებულებების მონიტორინგს, რომლებიც 2008 წლის ომის შედეგებს უკავშირდება და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს. მე-10 კონსოლიდირებულ ანგარიშში სხვა საკითხებთან ერთად, გენერალური მდივანი რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მოკავშირეობასა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ამახვილებს ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით თავიანთ გამოსვლებში შეშფოთება გამოთქვეს როგორც საქართველოს დელეგაციამ, ასევე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებმა. ანგარიშის ირგვლივ გამართულ დებატებზე ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა დოკუმენტი დადებითად შეაფასეს და კონსოლიდირებული ანგარიშების წარდგენის პრაქტიკის მომავალშიც გაგრძელებას მხარი დაუჭირეს. გამომსვლელთაგან, მხოლოდ რუსეთის ფედერაციამ დააყენა ეჭვქვეშ გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშების ეფექტიანობა.

ქართულმა მხარემ მოუწოდა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს, დააფიქსირონ პოზიცია, რათა მომავალში, რუსეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებს ხელი შეუშალონ.

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირეს მხარი. ევროკავშირმა მოუწოდა რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმება და უზრუნველყოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, აიღოს საქართველოს მიმართ ძალის არგამოყენების ვალდებულება და კონსტრუქციული როლი შეასრულოს ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში.

განცხადებას მიუერთდნენ მაკედონია, მონტენეგრო, ისლანდია, თურქეთი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, მოლდოვას რესპუბლიკა, სან მარინო და უკრაინა.

„პირველი“

აქვს თუ არა კავშირი „მედგრუპ ჯორჯიას“ ოფისის დაცხრილვასთან გარდაბნის მაჟორიტარ დეპუტატს და გარიგდებიან თუ არა თამაზ მჭედლიძე და თემურ ფეიქრიშვილი

ლაშა დვალი

კომპანია „მედგრუპ ჯორჯიას“ ხელმძღვანელის, მირიან ამირანაშვილის და კომპანიის ადვოკატის, არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, წავკისში კომპანია „მედგრუპ ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ შენობას, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა, ცეცხლსასროლი იარაღით ესროლა. გამოძახებულია პოლიცია. საქმის მსვლელობა დაწყებულია.

კომპანიის თანამშრომლების ცნობით, ნატყვიარი „ბიოლისპაცენტრის“ ადმინისტრაციულ შენობის შესასვლელთან 8 ნოემბერს გაჩნდა. ცნობილია, რომ სწორედ ამ დღეს „მედგრუპ ჯორჯიას“ საინვესტიციო პროექტი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მოინახულა.

„მედგრუპ ჯორჯია“ საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც 2011 წლიდან საქართველოში რამდენიმე საინვესტიციო პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა: „ბიოლისპაცენტრი“ და „ბიოლიჰოლი“; საქართველოში პირველი ვერტოდრომი; რეგიონული ენერგოპროექტები და ველნესინდუსტრიის ხელშემწყობი ინსტიტუციები. 2011 წლიდან ინვესტორმა თამაზ მჭედლიძემ უკვე 10 მილიონ დოლარზე მეტი ჩადო ხსენებულ პროექტებში.

კომპანიის ხელმძღვანელობა და ინვესტორი თამაზ მჭედლიძე მომხდარ ფაქტს ასაჯაროებს და მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარებისკენ, რათა მოხდეს დამნაშავე პირების გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა, უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორის უსაფრთხოება და არ შეილახოს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი.

უკავშირდება თუ არა „მედგრუპ ჯორჯიას“ ადმინისტრაციული შენობის დაცხრილვის ფაქტი უკვე რამდენიმე თვე მიმდინარე დავას, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელს თამაზ მჭედლიძესა და გარდაბნის მაჟორიტარ დეპუტატს თემურ ფეიქრიშვილს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა, ჯერ უცნობია. თუმცა ცნობილია, რომ თამაზ მჭედლიძეს პროექტის ჩაბარების ვადა წლის ბოლოს ეწურება და დიდი ალბათობით, იგი „წავკისელ ფეოდალად“ წოდებულ დეპუტატთან სასამართლო პროცესებს წააგებს.

საინტერესო ისაა, რომ ბიზნესმენი თამაზ მჭედლიძე დღემდე ღიად ადანაშაულებდა თემურ ფეიქრიშვილს. კომპანიის წარმომადგენლები არც იმას მალავდნენ, რომ ფეიქრიშვილის უკან შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ვაჟა ლილუაშვილი დგას, რომელმაც ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობები მოაგვარა. გავრცელებული ინფორმაციით, თემურ ფეიქრიშვილს გარდაბანში მხარდამჭერთა გარკვეული ჯგუფი ჰყავს, რომელიც ნებისმიერ შავ საქმეზე წამსვლელია... ამდენად არსებობის უფლება აქვს ვერსიას, რომ ოფისის დაცხრილვის ფაქტიც სწორედ ამ ჯგუფს უკავშირდებოდეს და ემსახურებოდეს მხოლოდ ერთ მიზანს — დააშინონ თამაზ მჭედლიძე და ფეიქრიშვილი-ლილუაშვილისთვის სასარგებლო პირობებზე დაითანხმონ... არსებობს ვერსია, რომ თავად თამაზ მჭედლიძემ და მისმა ჯგუფმა გაითამაშა დაცხრილვის პატარა სცენა იმისათვის, რომ ყურადღება მიიქციონ და წამებულის მანტია მოისხან, აქაოდა, აი, როგორ მებრძვის ახალი ხელისუფლებაო.

ასეა თუ ისე, თუ თამაზ მჭედლიძემ, რომელმაც პროექტებში უკვე დახარჯა დაახლოებით 10 მილიონი, ყველა სასამართლო პროცესი წააგო და დიდი ალბათობით ასეც იქნება, წლის ბოლოს, იძულებული გახდება, გარიგებაზე წავიდეს ფეიქრიშვილი-ლილუაშვილის ჯგუფთან. მით უმეტეს, ამის დიდი პოლიტიკური ნინაპირობაც არსებობს.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ გარდაბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა „ოცნებასთან“ საქმე მოაგვარა. ამბობენ, რომ არცთუ ისე მცირე თანხის სანაცვლოდ. შესაბამისად, მან დატოვა ნაციონალები და ამაში ახალი ხელისუფლებისგან ვაჟა ლილუაშვილის ხელშეუხებლობის გარანტიაც მიიღო. თავად ფეიქრიშვილი პარლამენტის ე.წ. დამოუკიდებელ ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელ მაჟორიტარებში“ გაერთიანდა და დაელოდა დროს, როცა მის ხმას ოქროს ფასი დაედებოდა. ჰოდა, ეს დროც დადგა. მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიას ფრაქციამ უმრავლესობა დატოვა, ნაციონალური მოძრაობიდან გამიჯნული მაჟორიტარების 6-კაციანი ფრაქცია აღმოჩნდა სწორედ ის მაშველი რგოლი, რომელმაც ხელისუფლებას საპარლამენტო უმრავლესობა შეანარჩუნებინა. ასევე საპარლამენტო უმრავლესობის გასაძლიერებლად მაჟორიტარმა დეპუტატებმა კიდევ ერთი ფრაქცია — „დამოუკიდებელი მაჟორიტარები — ძლიერი რეგიონებისთვის“ ჩამოაყალიბეს, სადაც გაწევრიანდნენ გურამ მისაბიშვილი, მარიკა ვერულაშვილი, ანზორ ბოლქვაძე, იაშა შერვაშიძე, თემურ ფეიქრიშვილი. ფრაქციის თავმჯდომარე ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე იქნება.

აქედან გამომდინარე, ფაქტია, თემურ ფეიქრიშვილმა პოზიციები გაიმყარა და როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალ დონეზე. დადგა დრო „წავკისის საქმესაც“ წერტილი დაესვას. თამაზ მჭედლიძესა და მის კომპანიას კი თუ არ სურს პროექტში ჩადებული 10 მილიონიც დაკარგოს და დაწყებული საქმეც, მოუწევს ფეიქრიშვილ-ლილუაშვილის ტანდემთან გარიგებაზე წავიდეს... თუმცა იქნებ და მოლაპარაკება უკვე დაწყებულიცაა, ვინ იცის?!

„ვერსია“ კომპანია „მედგრუპ ჯორჯიას“ დამფუძნებელს, ბიზნესმენ **თამაზ მჭედლიძეს** დაუკავშირდა.

— ბატონო თამაზ, ვინ დაცხრილა გამაჯანსაღებელი ცენტრის შენობა, ვისზე გაქვთ ეჭვი?

— წარმოდგენა არ მაქვს. წარმოიდგინეთ, ვიღაცამ ჩვენს მხარეს ისროლა და მე როგორ უნდა მქონდეს ეჭვი ვინმეზე, ამის უფლებას თავს როგორ მივცემ? ვიდრე სამართალდამცავები არ მეტყვიან, ვისი გაკეთებულია, ხმას არ ამოვიღებ.

— მე მივცემ თავს უფლებას და გკითხავთ, ეს გიორგი ფეიქრიშვილმა გააკეთა?

— აზრზე არ ვარ.

— აქამდე, ყველაფერში ღიად, აშკარად, თუ ფაქტებით თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილს სდებდით ბრალს და არაერთხელ გითქვამთ, რომ „წავკისელი ფეოდალი“ გიპირისპირდებოდათ.

— კონკრეტულად თემურ ფეიქრიშვილი დამიპირისპირდა და პირადად მეუბნებოდა, რომ, თუ 150 000 აშშ დოლარს არ გადავიხდი იმ მიწის ნაკვეთში, რომელიც ჯერ გადამიცვალა და მერე გადაიფიქრა, აქ არ გაგაჩერებ, ინვესტიციას არ ჩაგადებინებ და ოთხ სოფელს აგიჯანყებო. წლების განმავლობაში ეს გააკეთა კიდეც და ამას 100%-ით გიდასტურებთ. ეს ყველაფერი პირადად მითხრა, მაგრამ კოჯრის ტყე-პარკში ფანჩატურები ვინ დაანგრია, ჩემი სურათი სახრჩობელაზე ვინ ჩამოკიდა, აზრზე არ ვარ. არ ვიცი, ვინ გამომიგზავნა მუქარის წერილი, სადაც მწერდნენ, რომ 300 000 ლარი წავკისის ნანგრევებში უნდა მიმეტანა, თითქოს ამ ადგილის ყიდვა მინდოდა. შაბათს, როდესაც თბილისის მერი გვსტუმრობდა, გამაჯანსაღებელი კომპლექსის სახურავზე მონყობილ სკვერში ვისხედით და სროლის ხმა გავიგეთ, ჩვენს მხარეს სამჯერ ისროლეს. არ ვიცი, ეს შემთხვევით მოხდა, თუ ჩვენი დაშინების მიზნით. რკინის მოაჯირზე ნატყვიარი აღმოვაჩინეთ და პოლიცია გამოვიძახეთ.

— ესე იგი, თემურ ფეიქრიშვილის მონაწილეობას გამორიცხავთ?

— არც გამოვრიცხავ და არც ვადასტურებ, რადგან არ ვიცი, ვინ ისროლა.

— უკაცრავად, მაგრამ შენობის დაცხრილვის სცენა თვითონ ხომ არ გაითამაშეთ იმისთვის, რომ ყურადღება მიგექციათ?

— რატომ უნდა მიმექცია ყურადღება, არ მესმის.

— იმიტომ, რომ რამდენიმე პროცესი გაქვთ სასამართლოში, რომელიც წააგეთ და თქვენი საქმე ჯანჯლდება, ამასობაში, როგორც ინვესტორს, გარკვეული ვალდებულებები გაქვთ აღებული, რომელიც კონკრეტულ ვადაში უნდა შეასრულოთ. ამიტომაც შენობის დაცხრილვის სცენა გაითამაშეთ, ასეა?

— არა, გენაცვალე, რადგან ჩვენ უკვე ვალდებულება შევასრულეთ და ინვესტიცია ჩავაბარეთ. 22 ოქტომბერს, ამას თბილისის მერიც დაესწრო. საქართველოს სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება შევასრულე. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, საქმე მოვიგეთ, რომლის თანახმად, გიორგი ფეიქრიშვილი ვალდებულია, მიწის ნაკვეთი გადაგვიცვალოს. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ეს იყო ზარალის ანაზღაურება, რაც ფეიქრიშვილს უნდა გადაეხადა. შესაბამისად, უზენაეს სასამართლოში შეტანილი გვაქვს სარჩელი და ახლა ამ განხილვას ველოდებით.

— არსებობს ვერსია, რომ წავკისის საქმეზე თქვენ და თემურ ფეიქრიშვილი გარიგდით, ამას გვიდასტურებთ?

— გიდასტურებთ, რომ თემურ ფეიქრიშვილმა მოითხოვა შეხვედრა ჩემს გენერალურ დირექტორთან, რაზეც დავთანხმდი. შესაბამისად, ფეიქრიშვილი შეხვდა ჩემს გენერალურ დირექტორს და უთხრა, ყველაფერს გამოვასწორებ, რაც აქამდე მივქარე, ოღონდ შევრიგდეთო, მაგრამ ამავდროულად, ყველა პრობლემა, რაც ამ ორი წლის მანძილზე შეგვექმნა, მისივე მძახალს დააბრალა. რა თქმა უნდა, არ მჯერა, რადგან დადასტურებული ფაქტებით ვიცი, რომ ფეიქრიშვილის გაკეთებულია და არა მისი მძახლის. როგორ დამთავრდება ეს მოლაპარაკება, არ ვიცი, მაგრამ მე ექიმი და აქედან გამომდინარე, მშვიდობისმოყვარე ვარ. თუ თემურ ფეიქრიშვილი სოფლის წინაშე ოფიციალურად ბოდიშს მომიხდის, თუ იმ ორ გლეხს, რომლებსაც მიწის ნაკვეთები წაართვა, დაუბრუნებს, მაშინ მეც საჯაროდ ვაპატიებ.

„ვერსიას“ პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები — ძლიერი რეგიონებისთვის“ წევრი, **თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი** ესაუბრება.

— ბატონო თემურ, 8 ნოემბერს, წავკისში, თამაზ მჭედლიძის გამაჯანსაღებელი ცენტრის შენობას ესროლეს...

— ქუთაისში ვარ, დამირეკეს და მითხრეს, რაც მოხდა. თქვეს, მონადირეები დადიანო და მონადირეებს ხომ არ დავუდარაჯდები? რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ფაქტია და სამართალდამცავებმა უნდა გამოიძიონ. ცხადია, საწყენი ამბავია, თუ ეს ვინმემ შეგნებულად გააკეთა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

— პარლამენტის კულუარებში ჭორაობენ, ახალ ფრაქციაში იმიტომ გაწევრიანდით, რომ წავკისის საქმეზე, თქვენსა და თამაზ მჭედლიძეს შორის დავას ბოლო უნდა მოეღოს, გვიდასტურებთ?

— კულუარებში, ჭორის დონეზე რას ლაპარაკობენ, არ ვიცი. რაში შევუშალე ხელი თამაზ მჭედლიძეს, ან რას ვუშლი, არ მესმის. ეს ყველაფერი მოგონილი ჭორია.

— როგორც ვიცი, თქვენსა და თამაზ მჭედლიძეს შორის მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს, ამას როგორ ხსნით?

— არც მე მაქვს პრობლემა თამაზთან და არც მას — ჩემთან. თამაზი ბიზნესმენია, რომელიც თავის საქმეს აკეთებს. მისთვის ხელი არასდროს შემიშლია და არც არასდროს შევუშლი. თუმცა, თუ ტყეს მოჭრიან, ამას აუცილებლად გავაპროტესტებ, თორემ ისე აკეთოს თავისი საქმე, ხელს ვინ უშლის?

— ადასტურებთ, რომ თქვენს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს?

— თამაზ მჭედლიძესთან არასდროს გაბუტული არ ვყოფილვარ. ერთმანეთს ყოველთვის კარგი სალმით ვხვდებით. რას აშავებს ან ის, ან მე და მოლაპარაკება რა შუაშია, არ მესმის. როგორც გითხარით, თავის საქმეს აკეთებს და ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ვერსიანიუსი

ოთხი შვილის დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

უბედური შემთხვევა ბორჯომში მოხდა. სოფელ ლიკანში მცხოვრები ირინა გელაშვილი მტკვარში გადახტა. თვითმხილველების თქმით, 50 წელს გადაცილებული ქალბატონი მდინარეში შევიდა და დინებას გაჰყვა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ხმელეთზე ის უკვე გარდაცვლილი ამოიყვანეს.

როგორც მეზობლები ამბობენ, გარდაცვლილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

„პირველი“



„საბის“ მკვლელი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები ლევან კ. მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან კ-მ 11 ნოემბერს, ღამით, პეკინის ქუჩაზე, დროებით საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით სხეულზე მრავლობითი ჭრილობები მიაყენა ნაცნობს, 1991 წელს დაბადებულ ბექა ბ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიებით დგინდება, რომ ურთიერთშელაპარაკება თანხის გამო მოხდა, რომელიც ბრალდებულმა ბექა ბ-ს რამდენიმე თვის წინ ასესხა და ამ თანხის დაბრუნებას სთხოვდა. ლევან კ-მ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, კვალის დაფარვის მიზნით, ბექა ბ-ს დროებით საცხოვრებელ ბინაში ხანძარი გააჩინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.სამართალდამცველებმა ლევან კ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. მკვლელობის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108 მუხლით).

„ვერსიანიუსი“

m^2-მა გაყიდვების ახალი ოფისი ყაზბეგის გამზირზე გახსნა

ირაკლი ბურდილაძე: „მომხმარებლის ინტერესიდან გამომდინარე, ოფისების ქსელის გაზრდა მომავალშიც იგეგმება“

დეველოპერულმა კომპანიამ m^2 გაყიდვების ახალი ოფისი თბილისის ცენტრში, ყაზბეგის გამზირზე, 19ᵃ ნომერში გახსნა. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ოფისში, მომხმარებელი შეძლებს: მიიღოს ინფორმაცია m^2-ის ნებისმიერ სამშენებლო პროექტზე, გაიაროს კონსულტაცია გაყიდვების მენეჯერთან სასურველი ბინის შეძენის შესახებ, გაეცნოს შიდაგანვადების პირობებს, გააფორმოს ხელშეკრულება... m^2-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდილაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კომპანია, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების რაოდენობისა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, გაყიდვების ოფისების ქსელის გაზრდას მომავალშიც გეგმავს.

— ახალი ოფისის ადგილმდებარეობა მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით შევარჩიეთ — აქვე, ახლოს, ჩვენი მშენებლობა მიმდინარეობს. გვინდა, დაინტერესებულ ადამიანებს, გავუმარტივოთ ჩვენთან სტუმრობა და სასურველი ინფორმაციისა თუ სერვისის მიღება. დეველოპერული კომპანია m^2 თბილისსა და ბათუმში დღეს გაყიდვის ექვსი ოფისითაა წარმოდგენილი. ოფისებში, მომხმარებელს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00-დან 19:00 საათამდე მოემსახურებიან. ვაჟა-ფშაველას გამზირზე №35-ში მდებარე ოფისი კი, შაბათსაც მუშაობს, 10:00-დან 14:00 საათამდე. ახალი პროდუქტის დამატება იწვევს გაყიდვების ოფისების რაოდენობის ზრდას, შესაბამისად, ქსელს კიდევ გავაფართოებთ.

— დღეს რომელი პროექტებია მშენებლობის პროცესში და რამდენი პროექტი დაასრულეთ?

— დასრულებულია 2 პროექტი. ამჟამად აქტიურ სამშენებლო ფაზაშია საცხოვრებელი კომპლექსები ყაზბეგისა და ნუცუბიძის გამზირსა და თამარაშვილის ქუჩაზე. დავიწყეთ პროექტი „ოპტიმა ისანი“ — ოპტიმალური დაგეგმარების ბინები, რომელიც გათვლილია უფრო ფართო საზოგადოებაზე. ჩვენთან ფასები იქიდან გამომდინარე იცვლება, რა პროგრესია მიღწეული მშენებლობის კუთხით. მშენებლობის დასაწყისში, მიწის სამუშაოების დროს, ფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე დასრულებული პროდუქტის შემთხვევაში. ამ პროცესში ზედა და ქვედა ფასის ზრდას არ ვაპირებთ, მით უმეტეს, საკმაოდ მისაღები ფასები გვაქვს, განსაკუთრებით „ოპტიმას“ პროექტში.

— ბინებზე მოთხოვნა გაზრდილია?

— ჩვენი პროექტების მიმართ მომხმარებელთა ინტერესი ძალიან მაღალია. ციფრებით დაგიდასტურებთ: ყაზბეგის გამზირზე მშენებლობა წელს იანვარში დავიწყეთ და მომავალი წლის ოქტომბერ-ნოემბერში დავასრულებთ. მიუხედავად ამისა, თითქმის ერთი წლით ადრე, ბინების 83% გაყიდულია; ნუცუბიძის გამზირზე ბინების 65%-ია გაყიდული; „ოპტიმა ისანში“ კი, რომლის განხორციელებაც მხოლოდ 1 თვეა დავიწყეთ, ბინების უკვე 35%-ია გაყიდული. ეს პროექტი, მომხმარებელში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან მისი დაგეგმარებისას, გამოვიყენეთ საერთაშორისო პრაქტიკა — მსოფლიოს ისეთ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია, კვადრატული მეტრის ფასიც დიდია. ამ ფონზე, არსებობს ტექნოლოგიები, არქიტექტურული მიდგომა, გადაწყვეტა, რომლებიც დეველოპერს აძლევს საშუალებას, მშენებლობა ისე დაგეგმოს, ოთახების ზომა, სამშენებლო მოცულობა და შესაბამისად, ფასიც იყოს ოპტიმალური. ამას მივაღწიეთ „ოპტიმა ისანში“. ოღონდ, ეს არ ნიშნავს, რომ ხარისხი იცვლება — ჩვენი კომპანია, ხარისხთან დაკავშირებით კომპრომისზე არასოდეს წავა! „ოპტიმას“ პროექტზე მომხმარებელს, „საქართველოს ბანკიდან“ 20-წლიან იპოთეკურ სესხს ვთავაზობთ. ოროთახიანი, 29-ათასდოლარიანი ბინის მაგალითზე, ასეთი სესხის აღებისას, თვეში გადასახდელი გამოდის 213 დოლარი. ანუ, ფაქტობრივად, იჯარის ფასად ყიდულობთ ბინას. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ მომხმარებელთა ინტერესი და მოთხოვნა, ძალიან დიდია.

— საიდან ფინანსდება m^2-ის პროექტები?

— პროექტს არ ვიწყებთ, თუ მისი დაფინანსების სტრუქტურა სრულად არ გვაქვს შეკრული — ჩვენ ვდებთ საკუთარ კაპიტალს და მასთან ერთად, სახსრები საკრედიტო რესურსის სახით, უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან გვაქვს მოზიდული. m^2-ის ყველა სამშენებლო პროექტი სრულად დაფინანსებულია წყაროებიდან: კანადის მთავრობა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ჰოლანდიის განვითარების ბანკი. მიმდინარე პროექტებისთვის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას 14 მილიონი დოლარი აქვს დამტკიცებული. თუმცა, იმის გამო, რომ გაყიდვები კარგად მიდის, ამ სესხსაც წინსწრებით დავფარავთ.

ნინო ლურსმანაშვილი

პატიმრების ცოლების შემზარავი ისტორიები

რატომ იჭრიან ვენებს ციხეში, როგორ გადაუხადეს დათოს ცოლს ტელეგადაცემაში სიცრუისთვის 1500 ლარი და როგორ მოუგო სასამართლო პროცესი პატიმარმა ტელევიზიას

პატიმარი №0578

ბევრმა ჟურნალისტმა არ იცის, რომ ყველაზე ერთგული მკითხველი თუ მსმენელი ციხეებში ჰყავთ. ისინი უსმენენ და კითხულობენ ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებათ. ციხეებში, კამერაში ერთი რადიოა, ზონებზე საკანში კი, ყველა პატიმარს თავისი რადიო აქვს. ზოგჯერ, რადიო თუ ტელეგადაცემები და საგაზეთო სტატიები ზონაზე დაპირისპირების მიზეზიც ხდება.

დავით ს. ნარკოტიკების გამო დაიჭირეს. არ უარყოფდა, რომ დაჭერისას ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, მაგრამ ამბობდა, ფაქტი არ მქონდა და იმდენი წამალი ჩამიდეს, მოსამართლემ 19 წელიც კი დამამადლაო. ერთ საღამოს, პატიმრები საკანში ქალთა პრობლემებზე, გადაცემას უყურებდნენ. სამი დიაცი ვიღაცის პრინცესად გადაქცევას ცდილობდა. გადაცემის მორიგი გმირის დანახვისას დათომ გაოცება ვერ დამალა — ტელევიზორს მიუახლოვდა, მერე კი საკანს მოუტრიალდა და თქვა, ცუდი არაფერი წამოგცდეთ, ჩემი ცოლიაო.

დათოს ცოლი კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდა, გარეცხილი ტანსაცმელი მოჰქონდა, ქმარს ხილს არ აკლებდა და პატარა შვილსაც ანახებდა ხოლმე. გადაცემის წამყვანებმა ჩამოარაკრაკეს, რომ თურმე ამ ქალის ქმარი გამოუსწორებელი ნარკომანია, დაჭერამდე ცოლს სასტიკად სცემდა, რამდენჯერმე კი ისე გაიმეტა, საავადმყოფოში მოხვდა. მთავარ გმირს არაფერი უთქვამს, იჯდა თავდახრილი. მერე სალონში და მაღაზიებში წაიყვანეს და გადაცემა ისე დასრულდა, როგორც დაიწყო — მოძალადე ქმრის ძაგებით და მტკიცებით, რომ ქალი მტარვალისგან გათავისუფლდა.

„ბიჭებო, დედას და შვილს გეფიცებით, ცხოვრებაში ხელი არ დამიკარებია. ტყუილია“, — თავი იმართლა დათომ, მერე საპარსი გადატეხა, „ბრიტვა“ ვენებზე დაისვა, სისხლმა შადრევანივით იფეთქა, ორი პატიმარი კარს ეცა და ბოლო ხმაზე აყვირდა — ექიმი, ექიმი თქვენი დედა... პატიმარმა №0578-მა მაისური გაიძრო, ნაკუწებად აქცია და დათოს ხელზე გადაუჭირა. სისხლმა იკლო, მაგრამ ჭრილობა ღრმა იყო. დათო მედპუნქტში გადაიყვანეს. მალე საკანში რეჟიმის უფროსი შემოვიდა, კამერას თვალი მოავლო და იკითხა: „რა მოხდა?!“

ხმა არავის ამოუღია. როცა რეჟიმის უფროსმა კითხვა გაიმეორა, სომეხმა ტიგრანამ ჩაილაპარაკა: „ბოზი ქალის თემაა, უფროსო“. ყველა დაიძაბა. პატიმრებმა ტიგრანას გახედეს, №0578-მა კი თქვა: „ნაბიჭვარივით იქცევი, ტიგრან“. ტიგრანა გაფითრდა, მაგრამ პატიმარმა გესლიანად გაუღიმა და დააყოლა: „ეს ნაწყვეტია მოთხრობიდან „თეთრი ბაირაღები“. შენთვის არ მითქვამს, უბრალოდ რომანტიულ განწყობაზე ვარ...“

რეჟიმის უფროსმა საკანი უხმოდ დატოვა. ტიგრანა კი №0578-ს მიეჭრა და კბილებში გამოსცრა: „წეღან რა თქვი?!“

„რა ვთქვი და ნაბიჭვარივით იქცევი, ტიგრან“, — პატიმარმა ტიგრანას ხელუკუღმა გააწნა.

„ხედავთ, კაიბიჭს პეხოტა მირტყამს“, — დაიღმუვლა ტიგრანამ და №0578-სკენ გაიწია, მაგრამ მუცელში წიხლი მოხვდა, თავში — წყლის ბოთლი და ისინი თანასაკნელებმა ძლივს გააშველეს.

„ჯერ ერთი, პეხოტა მამაშენია, შე მართლა ნაბიჭვარო და მეორეც, შენი კაიბიჭობის დამტკიცება ხვალ მაყურებლებთან მოგიწევს. მაინტერესებს, კაიბიჭები რეჟიმის უფროსის კითხვებზე პასუხს როდიდან სცემენ“, — იღრიალა №0578-მა.

ტიგრანა მოიბუზა, მიხვდა, რომ გაება და თქვა: „ბრატჯან. პეხოტა რომ გითხარი, მივქარე, მაგრამ ჩემი კაიბიჭობა ეჭვქვეშ რომ დააყენე, არასწორია. ხომ იცი, პრედმეტით ვის ცემენ. არ გქონდა უფლება. დავრასხოდდეთ, რად გვინდა მაყურებლების შეწუხება“. „ნაბიჭვარივით რომ მოიქეცი და პადლეცური აგარტყი, დედის რძესავით შეირგებ?!“, — ჰკითხა პატიმარმა. „დავივიწყოთ. არ გირჩევ ჩემს გადაკიდებას, დახურული სისტემაა, რა იცი, ვინ რა ჭკუაზე გაიღვიძებს...“ პატიმარმა №0578-მა ტიგრანას გაარტყა, მერე იატაკზე დააგდო და წიხლები დაუშინა. ტიგრანამ იღრიალა, „შენი დედაო“ და მოჩხუბრები გააშველეს.

მეორე დღეს მაყურებლების კამერაში ყველაფერი ათ წუთში დამთავრდა. ტიგრანა გასაწირად არ გაიმეტეს, მაგრამ მკაცრად გააფრთხილეს, თუ კიდევ მოიქცევი ასე, კაზლიატნიკი მოგენატრებაო, მაგრამ პატიმარი №0578 არ ცხრებოდა, კაცმა რეჟიმის უფროსთან იბოზა და თავზე ხელს უსვამთო. საუბარში „ობშიაკის“ მაყურებელი, ტიგრანას ნათესავი „ვართანიჩი“ ჩაერია: „ლაპარაკი მორჩა. მეორედ ტიგრანას პირადად დავსჯი“.

„ახლა ის ახსნას ტიგრანამ, გუშინ დედა ვის შეაგინა“, — იკითხა №0578-მა. „მე... ვთქვი, პირი ხისკენ მიქნია-თქო და ალბათ ვერ გაიგე. ხეს შევაგინე“.

„ჩვენ კამერასა და მაყურებლების კამერას შორის სხვაობა არის?! თუ ისეთივე მოწყობილია, როგორც ჩვენი?!“ — ჰკითხა №0578-მა. ტიგრანამ კამერას თვალი მოავლო და თამამად თქვა — „იგივეა“.

„ჰოდა, ხე მანახე სად არის“, — იყვირა პატიმარმა.

საკანში ყველამ მიმოიხედა და რკინა-ბეტონში ჩასმულ ოთახში ხე ვერავინ აღმოაჩინა.

„დააკონკრეტე, ვის შეაგინე, თორემ დაყენებას მოვითხოვ“, — პატიმარი №0578 უკვე ბოლო ხმაზე ღრიალებდა.

ტიგრანას ხელები ზურგს უკან დააწყობინეს და ჯერ მაყურებელმა გააწნა სილა, შემდეგ კი სამჯერ №0578-მა შემოარტყა ლაზათიანად.

***

დათო სიკვდილს გადაურჩა. მესამე დღეს კი ცოლი პაემანზე მოვიდა და უთხრა, გადაცემაში მონაწილეობისთვის 1500 ლარი გადამიხადეს, ახალი ტანსაცმელი გიყიდე, ბავშვსაც ვუყიდე, სხვა გზა არ მქონდა და ვინ რას იტყვის, არ მაინტერესებს, შენ ხომ იცი, რომ მიყვარხარო. ისიც გაირკვა, რომ ტყუილის თქმა თავად გადაცემის პროდიუსერებმა და წამყვანებმა შესთავაზეს. დათომ სასამართლოში იჩივლა, ტელევიზიას პროცესი მოუგო და მორალური ზიანისთვის 50 ათასი მიიღო.

***

„დღეს რადიოში დაბადების დღეს ცოლი და შვილი მომილოცავს“, — გამოაცხადა ტიგრანამ. ტიგრანას ცოლი ზონაზე არ აკითხავდა. პატიმარი ამბობდა, ავუკრძალე, არ მინდა ამ ბოზებმა უყურონო. ცოლმა დარეკა, ქმარი მოიკითხა, ჯანმრთელობა უსურვა, დაბადების დღე მიულოცა, შემდეგ კი ოთხი წლის რაფოს ხმა გაისმა: „მამა, დაბადების დღეს გილოცავ, მალე გამოდი. დედიკოს მუცელი გაეზარდა, მითხრა, ძამიკო უნდა გაჩუქოო“. ტიგრანა გაფითრდა და ჩაილაპარაკა: სამი წელია სროკზე ვარ და... ვენებზე ბრიტვა ამჯერად მან დაისვა, თუმცა მისი ისტორია უფრო მძიმე იყო. როგორც გაირკვა, მის ცოლს საშვილოსნოზე სიმსივნე ჰქონდა და სხვაგვარად ვერ აუხსნა ბავშვს, მუცელი რატომ გაეზარდა. ტიგრანას ცოლი, ქმრის გათავისუფლებიდან 2 თვეში გარდაიცვალა.

დედაქალაქის ახალი უბანი დირსი საზეიმო ვითარებაში გაიხსნება

29 ნოემბერი თბილისის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია — ქალაქს ერთი ახალი უბანი — დირსი ემატება. კომპანია „ეი ეს გრუპ ინვესტმენტმა“ პირობა შეასრულა, მშენებლობის პირველი ეტაპი დათქმულ ვადებში დაასრულა და კომპლექსში მობინადრეების შესვლის თარიღიც გადაწყდა — წითელი ლენტი დირსის უბანში 29 ნოემბერს გაიჭრება.

იქ, სადაც 2 წლის წინ არაფერი იყო, მოშიშვლებული ტერიტორიის გარდა დღეს 11 საცხოვრებელი კორპუსი დგას. განსხვავებული კონცეფციისა და სტილის საცხოვრებელი კომპლექსი დირსი ყველა იმ ინფრასტრუქტურული ობიექტითაა აღჭურვილი, რაც უბნის დამოუკიდებლად არსებობისთვისაა საჭირო — საგანმანათლებლო თუ სამედიცინო დაწესებულებები, სოციალური პუნქტები, რეკრეაციული, სავაჭრო და გასართობი ზონები და რაც მთავარია, პირველი ბულვარი თბილისში, მტკვრის გაყოლებაზე, სადაც კაფე-ბარები, რესტორნები და სავაჭრო ობიექტები განთავსდება. იქიდან გამომდინარე, რომ დირსის აზერბაიჯანული საინვესტიციო ჰოლდინგი „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი“ აშენებს, ბულვარს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობის პატივსაცემად „მეგობრობის ბულვარი“ დაერქმევა.

დირსის უბნის გახსნის ცერემონიის დეტალები უკვე გათვლილ-გაწერილია. ღონისძიებები ისეთივე მასშტაბური და შთამბეჭდავი იქნება, როგორიც თავად პროექტია. 28 ნოემბერს, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან, 100-მდე უცხოელი ინვესტორი ჩამოვა, რომლებიც თავიანთ ახალ პროექტებს დირსის ღონისძიებაზე, მეორე დღეს დააანონსებენ. 29 ნოემბერს 12 საათზე, დირსიში გრანდიოზული ზეიმი დაიწყება. დაახლოებით თბილისობის მსგავსი სახალხო დღესასწაული. ამ დღეს, ახალი უბნის 450-მდე მობინადრეს, საკუთარი ბინების გასაღები საზეიმო ვითარებაში გადაეცემა. ღონისძიებაზე ოფიციალური სიტყვით გამოვა კომპანიის დამფუძნებელი — შაინ მოვსუმოვი. ბიზნესსექტორის გარდა, დირსის გახსნის ცერემონიაზე ქართული და უცხოური სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებიც იქნებიან.

დირსის უბანში მოეწყობა მინისცენები და მინიატურული დახლები, სადაც გამოტანილი იქნება ქართული თუ აზერბაიჯანული პროდუქტი, კერძები, ფოლკლორის ელემენტები... აქ ნახავთ არაერთ კუთხეს, სადაც ქართული ჩურჩხელის, ტკბილეულის, მწვადის დაგემოვნება შეგეძლებათ. გამოიფინება ტრადიციული სამოსელი და რეწვის ნიმუშებიც. მოეწყობა გრანდიოზული სანახაობები, გათამაშდება სიმბოლური პრიზები, ჩატარდება სხვადასხვა ტიპის გასართობი ღონისძიება. სტუმრებისთვის სპეციალური ტურები მოეწყობა პროექტის დასათვალიერებლად... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქართული მუსიკისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლის — ღონისძიებას განსაკუთრებულ ხიბლს შემატებენ ანსამბლები „ფორტე“, „მართვე“, „ქსოვრელები“, „სუხიშვილები“ სპეციალურ ნომრებს შეასრულებენ. საღამოს გალა კონცერტზე კი საზოგადოების წინაშე ნანი ბრეგვაძე წარსდგება. სცენაზე აზერბაიჯანელი ხელოვანებიც ავლენ. ღონისძიებას ცხადია ტორტი, ფეიერვერკი და ფურშეტი დააგვირგვინებს. სახალხო დღესასწაული 30 ნოემბერსაც გაგრძელდება, თუმცა ეს დღე იმით უფრო იქნება მნიშვნელოვანი, რომ დირსის კარი საზეიმოდ გაიხსნება და მობინადრეები საკუთარ ბინებში გადმოვლენ. დირსის ოფისში კი, ინვესტორებთან გაიმართება შეხვედრები.

ღონისძიების ფარგლებში სიმბოლურად ჩაიდება კაფსულა იქ, სადაც რამდენიმე ახალი პროექტის დაწყებაა დაგეგმილი. ეს დღე სწორედ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ დირსის პროექტის პირველი ეტაპის დასრულებასთან ერთად, კომპანიის ხელმძღვანელობა ახალი საინვესტიციო პროექტების დაწყებასაც აღნიშნავს. კერძოდ კი საუბარია სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო კლინიკისა და სასტუმროს მშენებლობაზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ინვესტორები მსხვილი კაპიტალდაბანდებით განახორციელებენ.

„დირსიმ თავისი მოღვაწეობის პერიოდში საკმაოდ დიდი პროგრესი აჩვენა. ჩვენ დავანახეთ ხალხს, რომ დანაპირებს ყოველთვის ვასრულებთ. იმედია, დირსი მომავალში ისეთ ადგილადაც გადაიქცევა, სადაც მხოლოდ ცხოვრება კი არ იქნება სასურველი, არამედ ახალგაზრდები უქმე დღეების გასატარებლად, სასიამოვნო შთაბეჭდილებებისათვის მოვლენ“, — აცხადებენ დირსი მენეჯმენტის წარმომადგენლები.

ახალგაზრდებთან ერთად კი, გული დირსის უბნისკენ ალბათ ბევრს გაუწევს. გარდა იმისა, რომ უკვე აშენებულ 11 კორპუსს, მომავალში 9 მიემატება, აქ განთავსდება სავაჭრო ცენტრიც — ისეთი, რომლის ანალოგიც საქართველოში აქამდე არ არსებობდა. – **„წარმოიდგინეთ, რომელიმე ევროპული მსხვილი ქალაქის ცენტრალური უბანი, მაგალითად იტალიის რომელიმე ქუჩაზე არსებული სავაჭრო ობიექტები. დაახლოებით ასეთი გარემო იქნება დირსის მოლში, მოვარაყებული ფასადებით, თაღებით, ქუჩის შადრევნებით და გამწვანებით. დირსის სავაჭრო ცენტრი სავაჭროსთან ერთად, რეკრეაციულსა და გასართობ ფუნქციასაც შეითავსებს. ვინაიდან, კომერციულ ობიექტებთან ერთად, მოლში გასართობი ზონა, კინოთეატრები, სილამაზის სალონები და გამაჯანსაღებელი ცენტრები მოეწყობა...“,** — გვიხსნიან დირსიში.

საცხოვრებელ კომპლექსში ასევე დაგეგმილია 35-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც რამდენიმე ზონად იქნება დაყოფილი: ბიზნესცენტრი, საკონფერენციო დარბაზები, სასტუმროს ნომრები და პენტჰაუზები.

ეს ყველაფერი დირსის მეორე ეტაპის ფარგლებში, რომელიც 2016 წლისთვის დასრულდება. მესამე ეტაპი კი, განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება ფუფუნების მოყვარულთათვის. მესამე ეტაპზე დირსის უბანში ელიტური, პრემიუმ კლასის საცხოვრებელი კომპლექსი გაშენდება. ეს იქნება 3-4 სართულიანი კერძო სახლები საკუთარი ეზოებითა და ვიწრო ქუჩებით, რომელთა დაპროექტებაზეც იტალიელი არქიტექტორები მუშაობდნენ.

ნინო ლურსმანაშვილი

ჯეპრამ „რწყილი და ჭიანჭველას“ ილუსტრაციების კონკურსში გამარჯვებული გამოავლინა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ჯეპრას კონკურსი, რომლის ფარგლებშიც, „რწყილი და ჭიანჭველას“ ახალი ილუსტრაციები უნდა შექმნილიყო, დასრულდა. 10 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ჯეპრას მიერ გამოცხადებული კონკურსის დასკვნითი ნაწილი გაიმართა. ჟიურის წევრებმა გამარჯვებული კონკურსანტი დაასახელეს და სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს.

პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია ჯეპრამ, „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპრის მიხედვით ილუსტრაციების შექმნაზე, დიზაინერებისთვის კონკურსი სექტემბერში გამოაცხადა. ეს კონკურსი ორეტაპიანი იყო. პირველ ეტაპზე, მონაწილეებს ზღაპრის ნებისმიერი სცენიდან ილუსტრაცია უნდა გაეგზავნათ. მეორე ეტაპზე კი ჟიურის წევრები სამ ფინალისტს შეარჩევდნენ, რომლებსაც დამატებით დავალებას მისცემდნენ. სამ ფინალისტს ზღაპრის წიგნის ყდის ილუსტრაცია უნდა შეექმნათ.

ჟიურის წევრები იყვნენ მხატვარი გია გუგუშვილი, თამაზ ვარვარიძე, ფოტოგრაფი გოგა ჩანადირი, ჯეპრას გენერალური დირექტორი ეკატერინე ჟვანია და კომპანიის დამფუძნებელი სოსო გალუმაშვილი.

ჯეპრას კონკურსის დასკვნით ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, „რწყილი და ჭიანჭველას“ თემაზე შექმნილი ყველა ნამუშევარი გამოფინეს.

ჯეპრას კონკურსში ეთერ გზირიშვილმა გაიმარჯვა, რომელსაც საჩუქრად, A3 ზომის Wacom-ის სახატავი პლანშეტი გადასცეს.

„ეს იყო „ჯეპრას“ მიერ გამოცხადებული „რწყილი და ჭიანჭველას“ კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე და ჩემდა სასიხარულოდ, გავიმარჯვე. მომწონს ეს წამოწყება და მართლაც კარგი პროექტი გამოვიდა“, — განუცხადა „ვერსიას“ **ეთერ გზირიშვილმა**.

მხატვარმა, **გია გუგუშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ჯეპრას კონკურსის საშუალებით, კიდევ ერთხელ დავუბრუნდით ქართულ სულს, სიძველეს და ბავშვობას, რომელიც არასდროს ნელდება. მისი თქმით, ამ კონკურსის ფილოსოფიაც ეს იყო, რასაც მიესალმება: **„თავდაპირველად, როდესაც ჯეპრამ ამ კონკურსის ჟიურის წევრობა შემომთავაზა, ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. მითხრეს, რომ „რწყილი და ჭიანჭველას“ კონკურსი ტარდებოდა და ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ მეხუმრებოდნენ. თუმცა იქვე განმარტეს, ამ ზღაპრის ილუსტრაციების ახალ ვარიანტებს ვაკეთებთო და, როდესაც პროექტში ჩავერთე, მართლაც დავინტერესდი. ერთ, თანაც ასე კარგად ნაცნობ „რწყილი და ჭიანჭველას“ თემაზე, საინტერესო ინტერპრეტაციები შეიქმნა. რამდენიმე ტური გავიარეთ, კონკრეტული გუნდიც გამოიკვეთა, რომელიც გაიცხრილა, ბოლოს კი სამი კონკურსანტი დარჩა, რომელთა შორისაც გამარჯვებული გამოვავლინეთ. ამ კონკურსზე ჩემი პირადი, მხატვრის სიმპათიის პრიზიც დავაწესე, რომელიც ორ მონაწილეს — რევაზიშვილსა და მარხვაშვილს გადავეცი“.**

მართალია, „რწყილი და ჭიანჭველას“ კონკურსი დასრულდა, მაგრამ სამხატვრო აკადემიასთან ერთად, ჯეპრა კიდევ ერთ, ამჯერად უკვე „პლაკატების“ კონკურსს გამართავს. წინასწარ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საპრიზო ფონდი 2 000-ლარიანი იქნება.

„სიტი პარკის“ მორიგი ვირეშმაკობა — მოქალაქეს პარკინგის გადასახადი ორჯერ გადაახდევინეს!

რა გაუგებრობა მოჰყვა სახელმწიფო ნომრების შეცვლას და რა უნდა იცოდეს მძღოლმა, სანომრე ნიშნების შეცვლის შემთხვევაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ავტომობილების სახელმწიფო ნომრების შეცვლამ „სიტი პარკის“ თანამშრომლები დააბნია. ოფიციალურად, მოქალაქე, რომელიც ძველ, 6-ნიშნა ნომერს ახალი, 7-ნიშნა ნომრით ცვლის, ვალდებული არ არის, ავტომობილის პარკინგის გადასახადი გადაიხადოს. „სითი პარკის“ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, პარკინგის გადასახადი ავტომატურად გადადის ახალ სანომრე ნიშანზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის მფლობელი იგივეა. „ვერსიას“ მარჯანიშვილის მოედანთან, სანკტ-პეტერბურგის ქუჩის მცხოვრები დაუკავშირდა, რომელსაც „სითი პარკის“ თანამშრომლებმა ავტომობილის პარკინგის გადასახადი — 50 ლარი, ორჯერ გადაახდევინეს.

არასწორი პარკირების გამო, სანკტ-პეტერბურგის ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქეს, ავტომობილის საქარე მინაზე „სიტი პარკის“ ჯარიმა დახვდა. მოქალაქემ 10-ლარიანი ჯარიმა გადაიხადა, მაგრამ „სიტი პარკის“ თანამშრომლებმა ავტომობილის პარკირების გადასახადიც გადაახდევინეს. არადა, „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი ამ მოქალაქემ 2014 წლის მაისში შეიძინა, სახელმწიფო ნომრები აიღო და ერთწლიანი პარკირების გადასახადი — 50 ლარიც გადაიხადა. სექტემბერში, ავტომობილების სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლის შემდეგ, მოქალაქემ ახალი სახელმწიფო ნომერი აიღო. მისთვის არავის უთქვამს, რომ ამის შესახებ „სიტი პარკისთვის“ უნდა ეცნობებინა. შესაბამისად, ავტომობილის არასწორი პარკირების ჯარიმას, პარკინგის გადასახადიც დაუმატეს და ჯამში, 60 ლარი გადაახდევინეს.

„ვერსია“ ფაქტით დაინტერესდა და ინფორმაცია შპს „სიტი პარკში“ გადაამოწმა. „სითი პარკის“ ვებგვერდზე ასეთი განცხადება დაგხვდებათ: **„ძველი (6-ნიშნა) სანომრე ნიშნის ახლით (7-ნიშნაზე) შეცვლის შემთხვევაში, მოქმედი პარკირების საშვი გადადის ახალ ნომერზე ავტომატურად, დაწყებული 30.09.2014-დან. გადამოწმების მიზნით, მიმართეთ „სიტი პარკის“ ცხელ ხაზს. ასევე შეგიძლიათ გადამოწმება „სიტი პარკის“ საიტზე, ან გადახდის აპარატებში“.** რაც შეეხება პარკირების საფასურს, ამას თბილისის მთავრობა ადგენს და ერთი წლის განმავლობაში, გადასახადი 50 ლარს შეადგენს, 6 თვის განმავლობაში — 25-ს, ხოლო 1 კვირის განმავლობაში — 4-ს.

„სიტი პარკის“ საიტზე ატვირთული განცხადებიდანაც ჩანს, რომ სანკტ-პეტერბურგის ქუჩის მაცხოვრებელი, კომპანიის თანამშრომლების დაუდევრობის შედეგად დაზარალდა. რეალურად, ამ მოქალაქემ ერთი წლის განმავლობაში, ავტომობილის პარკინგის გადასახადი ორჯერ გადაიხადა. არადა, ამ ხნის მანძილზე, მას არც ახალი ავტომობილი შეუძენია და არც ავტომობილის მფლობელი შეცვლილა.

„ვერსია“ შპს „სიტი პარკის“ მედიაკომუნიკაციების მენეჯერს, **ლევან ტაბიძეს** დაუკავშირდა:

— „სიტი პარკის“ თანამშრომლები მოქალაქეებს პარკირების გადასახადს ორჯერ რატომ ახდევინებენ?

— არ ვიცი, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, მაგრამ პარკირების გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ იკარგება. ადრე გადახდილი გადასახადი ახალ ნომერზე ავტომატურად გადადის, ოღონდ ამ პერიოდში, ავტომანქანის მფლობელი არ უნდა შეიცვალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ამ ტიპის დარღვევები ხდება, კარგი იქნება, თუკი მოქალაქეები ჩვენი კომპანიის ცხელ ხაზს დაუკავშირდებიან. სულ რაღაც 20 წამს დაკარგავენ, მაგრამ გადაამოწმებენ, გადავიდა თუ არა ახალ სანომრე ნიშანზე უკვე გადახდილი პარკირების გადასახადი ავტომატურად.

— სანკტ-პეტერბურქის ქუჩის მკვიდრმა პარკირების გადასახადი გადაიხადა, მაგრამ სანომრე ნიშნის შეცვლის შემდეგ, მეორედ გადაახდევინეს.

— რასაც ახლა მიყვებით, პირველი შემთხვევაა. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა. ვიდრე ავტომატურ პროგრამას გავუშვებდით, მოქალაქეებს ცნობა მოჰქონდათ, რომ პარკირების გადასახადი უკვე გადახდილი ჰქონდათ. ახალი კომპიუტერული პროგრამა 2014 წლის 30 სექტემბრიდან გავუშვით და მისი საშუალებით, პარკირების გადასახადი ახალ სანომრე ნიშანზე ავტომატურ რეჟიმში გადადის.

— დღევანდელი მონაცემებით, რამდენმა მოქალაქემ შეცვალა ავტომანქანის სანომრე ნიშნები?

— ჩვენი კომპიუტერული პროგრამა მომსახურების სააგენტოზეა მიბმული. მონაცემები ჯერ არ დაგვითვლია, მაგრამ სანომრე ნიშნების შეცვლა ახლაც მიმდინარეობს.

— ამ მოქალაქეს პარკირების ჯარიმაც გამოუწერეს. ავტომობილების გაჩერების პრობლემა სწორედ თბილისის ცენტრში მცხოვრებ მოქალაქეებს ექმნებათ. როგორ უნდა მოიქცნენ ეს ადამიანები?

— მეც ცენტრალურ უბანში, ჭავჭავაძის გამზირზე ვცხოვრობ და ჩვეულებრივ, ავტომობილს გარეთ ვაჩერებ, ოღონდ იქ, სადაც პარკირების ნიშანია. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ პარკირების ადგილები თბილისის მერიის საკუთრებაა და არა კომპანია „სიტი პარკის“. უბრალოდ, „სიტი პარკს“ იჯარით აქვს აღებული პარკირების მართვა-ოპერირება. სად შეიძლება პარკირება და სად — არა, ამას თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახური წყვეტს და ამ გადაწყვეტილებას „სიტი პარკს“ აცნობებს. კომპანია პარკირების ოპერირებას მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს და იქ, სადაც შესაძლებელია, შესაბამის ნიშანსაც დგამს. იმის თქმა მინდა, რომ პარკირების ადგილი არც „სიტი პარკის“ საკუთრებაა და არც იმ კონკრეტული მოქალაქისა, რომელიც ცენტრალურ უბანში ცხოვრობს. იმის გამო, რომ ჭავჭავაძეზე ვცხოვრობ, ჩემი სახლის მიმდებარე ტერიტორია ჩემს საკუთრებად არ ითვლება, შესაბამისად, სადაც მინდა, მანქანას ვერ გავაჩერებ. ჩემი საკუთრება ეზო და ეზოში არსებული ავტოფარეხია, სადაც არავინ დამაჯარიმებს.

— ქალაქში საცობებიც სერიოზული პრობლემაა. ავტომანქანების სადგომებიც ხომ მოუწესრიგებელია...

— საცობები პარკირებასთან პირდაპირ კავშირშია — ერთი არასწორად პარკირებული ავტომობილიც კი უშველებელ საცობს ქმნის... მერიის დადანაშაულება, რომ ავტოსადგომების პრობლემა დღემდე დგას, არასწორი იქნება. სწორედ ცენტრალურ უბნებში, სადაც პარკირების სერიოზული პრობლემაა, ურბანული დაგეგმარება არ იძლევა საშუალებას, უფრო მეტი პარკირების ადგილი გამოყონ. ეს მხოლოდ თბილისის პრობლემა არაა. ყველგან ანალოგიური ვითარებაა. თავის დროზე, მერიამ ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება და განიერ ტროტუარებზე ავტომობილების გაჩერებაც შესაძლებელია, რაც არც ფეხით მოსიარულეებს შეუქმნის პრობლემას და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. თბილისის მერია მაქსიმალურად ცდილობს, პარკირების ისეთი ადგილები გამოყოს, რომლებიც არც ფეხით მოსიარულეებს აზარალებს და არც ავტომობილების მფლობელებს. ჩვენი დაკვირვებით, გარკვეულ ადგილებში, ავტომობილების უპრობლემოდ გაჩერება ნამდვილად შესაძლებელია, ოღონდ მძღოლს ფეხით 20-30 მეტრის გავლა მოუწევს.

— ხშირად მანქანებს ტროტუარზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილ პანდუსზე აჩერებენ. ცხადია, აქ მძღოლის მენტალური პრობლემა უფრო იკვეთება, მაგრამ როგორ იქცევა „სიტი პარკი“ ასეთ დროს?

— ასეთი ფაქტი ხშირია და ამ დროს, მძღოლი აუცილებლად ჯარიმდება. დამიჯერეთ, როგორც კი მათ „სიტი პარკის“ ჯარიმა მისდით, ჩვენზე ბრაზდებიან და შეიძლება, ვერც მიხვდნენ, რატომ დააჯარიმეს.

ინტერვიუს დასრულებისთანავე, „სიტი პარკის“ მედიაკომუნიკაციების მენეჯერი, სანკტ-პეტერბურგის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქის ჯარიმით დაინტერესდა და მისი მონაცემების გადაგზავნა გვთხოვა. ცხადია, ლევან ტაბიძეს ამ მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის ძველი და ახალი სახელმწიფო ნომრები გავუგზავნეთ და იმ ქვითრის ნომერიც ჩავაწერინეთ, რომლითაც ჯარიმის გადახდა დასტურდება. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ ლევან ტაბიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თავის დროზე, ვიდრე „სიტი პარკი“ კომპიუტერულ პროგრამაზე გადავიდოდა, ამ მოქალაქემ კომპანიას განცხადებით არ მიმართა, რომლითაც ძველი სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლას დაადასტურებდა: **„თუმცა ამ ხარვეზის გამოსწორება ახლაც შესაძლებელია. საკმარისია, მოქალაქე მობრძანდეს „სიტი პარკში“, დაწეროს განცხადება და აღნიშნოს, რომ 2014 წლის 27 სექტემბერს, ძველი სანომრე ნიშნები ახლით შეცვალა. ამის შემდეგ, ადრე გადახდილი პარკინგის გადასახადი, ავტომატურად გადავა ახალ სანომრე ნიშანზე. თუ კომპანიაში მოსვლას ვერ შეძლებს, აუცილებლად დაუკავშირდეს „სითი პარკის“ ცხელ ხაზს“.**

მოქალაქე, რომელიც შპს „სიტი პარკის“ თანამშრომლების დაუდევრობით დაზარალდა, საკმაოდ დაკავებულია და 50 ლარის გამო, დოკუმენტებით აქეთ-იქით სირბილს არ აპირებს. თუმცა არც ისაა სასიამოვნო, პარკინგის გადასახადი ორჯერ რომ გადაახდევინეს. პირადად ჩემთვის კი, გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, „სიტი პარკმა“ საკუთარი დანაშაული მარტივად გამოასწოროს და მოქალაქეს პარკინგის გადასახადი გაუგრძელოს?

***

2014 წლის აპრილში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „სიტი პარკის“ შემოსავლებით დაინტერესდა. კვლევის მიზანი იყო, რა თანხას იღებს „სიტი პარკი“ ყოველწლიურად და აქედან, რამდენი ირიცხება დედაქალაქის ბიუჯეტში. სამწუხაროდ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა კონკრეტულ ინფორმაციას ვერ მიაკვლია, რადგან თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

უხეში გათვლით, 5 წლის განმავლობაში, „სიტი პარკმა“ 1 600 000 ლარზე მეტი საჯარიმო ქვითარი გამოწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „სიტი პარკის“ ჯარიმის მინიმალური ოდენობა 10 ლარია, 2009-2013 წლებში, ჯარიმების გადახდით ჩარიცხული თანხა, საშუალოდ, 11 600 000 ლარია. აქედან გამომდინარე, კომპანია დღეში, საშუალოდ, 6 400 ლარის ჯარიმას წერს. ამას პარკირების საფასურსაც თუ დავუმატებთ, აშკარაა, რომ „სიტი პარკი“ ყოველწლიურად, საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ შემოსავალს იღებს. ოფიციალური მონაცემებით, დედაქალაქში 400 000 ავტომანქანაა რეგისტრირებული, აქედან 25%-მაც რომ „სიტი პარკის“ პარკირების გადასახადი — 50 ლარი გადაიხადოს, გამოდის, კომპანია წელიწადში, დაახლოებით, 5 000 000 ლარს იღებს.. ამას ემატება საჯარიმო სანქციები ავტოსადგომებზე გადაყვანილი მანქანების გამოსაყვანად დაწესებული თანხაც. უხეში გათვლით, მხოლოდ 2 წელიწადში, კომპანიას ასეთი გადასახადების სახით, საშუალოდ, 15 000 000 ლარი აქვს მიღებული.

ვერსიანიუსი

არასამთავრობო ორგანიზაციები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მასშტაბურ კამპანიას იწყებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარის, ნინო ლომჯარიას განცხადებით, კამპანია სიმბოლურად 25 ნოემბერს, ქალთა ძალადობის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს დაიწყება: **„მოეწყობა მსვლელობა. ღონისძიებაში მონაწილეობას ათობით ორგანიზაცია მიიღებს. აქციას ყველა ის მოქალაქე უნდა შეუერთდეს, ვისაც ეს საკითხი აწუხებს“.**

ლომჯარიასვე ინფორმაციით, აქცია ერთჯერად ხასიათს არ ატარებს და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია ხანგრძლივი იქნება. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ოჯახური ძალადობის კუთხით კანონმდებლობის გამკაცრებაა საჭირო. ასევე აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების გადამზადება ოჯახური ძალადობის საქმეებზე ადეკვატურად რეაგირების და სწორად გამოძიებისთვის: **„მივესალმები ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ოჯახური ძალადობის ხასიათის დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობას გაამკაცრებს“.**

„პირველი“

რუსთავში მომხდარ ტრაგედიაზე საქმე სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის მუხლით აღიძრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

რუსთავში, მე-11 მიკრორაიონში, აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში ოჯახის ყველა, ოთხივე წევრი, მათ შორის, ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა. წინასწარი ინფორმაციით, მათი გარდაცვალების მიზეზი გაზის გაჟონვაა.

„ვერსიანიუსი“

1. ამერიკ. თეთრკა-ნიანი რეპერი
2. ნურადინ-ფრიდონის სამეფო
3.ყოფილი ქართველი ფეხბურ-თელი
4.დროებით გაბა-ტონებული გემოვნება
5. მსუბუქი სპორტული ნავი
6. ქართველი მეფე- პო-ეტი
7.ძველი ქართული ხორბლის სახეობა
8. ჯეინ ეარის მეუღლე
9. ასტრო-ნომიული სახაზავი
10. ინდოელ პოლი-ტიკური მოღვაწე
11. ვაჟას „ბახტრიო-ნის“ პერსონაჟი
12. სახელმ-წიფოებრივი არაპირდაპ. გადასახადი
13.ნადირთ-მფარველი ღვთაება ქართ.მით.
14. ოდისევსის ლათინიზ. სახელი
15. მუსიკის მუზა
16. თავი-სუფალი ფორმის ნარკვევი
17. ბაბლუა-ნის ფილმი „უძინართა ...“
18. იემენის დედა-ქალაქი
19. სანე-ლებელი მცენარე
20.აკორდის ბგერების ტუხილი შესრულება
21. ენა-ჩლუნგი
22. შალის საკოსტიუმე ქსოვილი
23. კომპ-ოზიტორი ... ხაჩატუ-რიანი
24. მფრთხალი, შეუჩვეველი ფრინველი
25.ქალიშ-ვილისადმი მიმარ. სკან-დინავიაში
26. ჭადრა-კის ფიგურა
27. ნიგერიის ფულის ერთეული
28. გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
29.ოამით შარდის შეუკა-ვებლობა
30. სისხლის თხიერი ნაწილი
31. თვით-მფრინავის საწვავი
32. „არსების ქალაქი“ იტალიაში
33. ნაღვლიანი ლექსი
34. დიდი სამხედრო გემი
35. შარვლის ერთ-ერთი სახეობა
36. გვადი ბიგვას თხა
37. საოპერო პარტია
38. ნაპო-ლეონის მარშალი
39. დონ-ჟუანის მსახური მოცარტის ოპერაში
40. იპოლიტეს ქალიშვილი ფილმში „მხიარული რომანი“
41. უკრაინული წვნიანი კერძი
42. ქართველთა ეროვნული გმირი ... ჯორჯიაშვილი
43.პერუს საპორტო ქალაქი
44. ბიბლიური აბრაამის ცოლი
45. ხის საპობი იარაღი
46. გემის ბორტი
47. ფეხბურთის მეფე
48. მდინარე საფრან-გეთში
49. საავარჯიშო ძირითადი იარაღი ძალოსნობაში
50. სამი წერტილი კამათელზე
51. გულანშაროს მეფე „ვეფხისტყაოსანში“ “ ...-სურხავი
52. უბე-დურების საერთაშ. სიგნალი
53. მენ-დელეევის მეცნიერება
54. რუსული დიდი მრგვალი სადღესას-წაულო პური
55. სამეურნეო მუშაკი
56. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგ.
57. „იქ“ - ძველ ქართულში
58. გერდას მეგობარი ბიჭუნა
59. გაზაფ-ხულის ყვავილი

მეტი სექსი - მეტი ფული

ყველაფრის გამომკვლევმა ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რამდენადაც ხშირად აქვს ადამიანს სექსი, მით მეტ ფულს შოულობს. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევამ აჩვენა: ვისი ინტიმური ცხოვრებაც შეიძლება მეტად დატვირთულად ჩაითვალოს, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ. ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს, თუკი კვირაში ოთხჯერ ან მეტჯერ აქვთ სასიყვარულო ურთიერთობა პარტნიორთან. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც იყოს საყვარელი (არა მხოლოდ ფიზიკურად). ამის გარეშე ბევრი მარტოობისკენ მიდრეკილი ხდება, აწუხებს დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება, — აცხადებენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებს — საჭმელი და სექსი, მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს წარმატებას სხვა სფეროებშიც. თუ ამ ძირითადი მოთხოვნილებების უკმარისობას განიცდის, სხვა ფუნქციებს ცუდად ასრულებს. ბრიტანელების გამოკვლევაში საბერძნეთში მცხოვრები, 26-დან 50 წლამდე ასაკის, 8 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვისაც კვირაში ოთხჯერ და მეტჯერ ჰქონდა სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდნენ, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები. ეს ტენდენცია არ არის დამოკიდებული განათლების დონეზე, სექსუალურ ორიენტაციაზე ან პროფესიაზე.

ალკოჰოლის „ჭეშცვლელ“ ქმნიან

ბრიტანელი სწავლულები ახალი ნივთიერების შექმნაზე მუშაობენ, რომელიც თრობის პოზიტიურ ეფექტს, ჯანმრთელობისთვის ზიანის, შეჩვევისა და ბახუსის გარეშე ქმნის. ეს ნივთიერება უშუალო ზეგავლენას ახდენს ტვინის ნეიროტრანსმიტერებზე, ადამიანს სიამოვნებას განაცდევინებს და ალკოჰოლის ზემოქმედებისგან არაფრით იქნება განსხვავებული. ეფექტის ბლოკირება ნებისმიერ დროს შეიძლება ანტიდოტის საშუალებით, ასე რომ, მის მომხმარებლებს შეუძლიათ მერე უპრობლემოდ მიუსხდნენ საჭეს და მანქანით დაბრუნდნენ სახლსა თუ სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ალკოჰოლის შექმნაზე ნეიროფსიქოფარმაკოლოგების საკმაოდ ცნობილი ჯგუფი მუშაობს ლონდონის საიმპერატორო კოლეჯიდან, ალკოჰოლურ მრეწველობაში, გასაგები მიზეზების გამო, არავის სურს ამ პროექტის დაფინანსება. სწავლულები მოუწოდებენ ინვესტორებს, მხარი დაუჭირონ მათ წამოწყებას. ეს სერიოზული რევოლუცია იქნება ჯანდაცვაში, ისეთივე, როგორიც ელექტრონული სიგარეტია, — აცხადებენ ისინი. მათი თქმით, ახალი ნივთიერების გამოყენება სხვადასხვა კოქტეილების სახით შეიძლება.

მსუქანი ქალები გამხდრებზე ჭკვიანები არიან პოლონიე

ამერიკელმა სწავ-ლულებმა პიტსბურ-გის უნივერსიტეტიდან გამოკვლევა ჩაატარეს და ქალის წონასა და მის ინტელექტუა-ლურ შესაძლებლო-ბებს შორის კავშირი დაადგინეს. ხანგრძლი-ვი დაკვირვების ობი-ექტი კვლევებისას, სხვადასხვა წონის 16 ათასი ქალბატონი იყო. ექსპერიმენტი ითვალ-ისწინებდა ტესტირებას გამჭრიახობაზე, თან წინასწარ იწონებოდ-ნენ. შედეგების გაანალიზებისას მკვლევარებმა აღმოაჩინეს გასაოცარი კანონზომიერება: საუკეთესო შედეგები ტესტების ამოხსნისას სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებმა აჩვენეს, რომელთაც „ფუმფულა“ ფორმები ჰქონდათ. ამასთან, რამდენადაც მსუქანი იყო ქალი, მით მეტ გამჭრიახობას იჩენდა ექსპერიმენტის დროს. შედეგების შეჯამებისას სწავლულებმა განაცხადეს, რომ მსგავს ვითარებაში არ არსებობს შემთხვევითობა, მსუქნები სწრაფად უმ-კლავდებოდნენ ინტელექტუალურ ამოცანებს სწორედ საკუთარი კომპლექტაციის წყალობით. სპეციალისტები ამ ფაქტს მსუქანი ქალების ორგანიზმში დიდი ოდენობით ორგანული მჟა-ვების არსებობას უკავშირებენ, რაც მაღალი დონის ინტელექტუალურ უნარებს ავითარებს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	6							7
		7		6	5		2	
		2	1		7			9
				5			1	
		4	7	3	9	5		
	9			1				
8			2		6	1		
	5		8	4		2		
6							8	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		5		2			8	7
		2	3	7	6			
			5			6		
4	5	8						
1								4
						2	5	8
		7			4			
			8	5	9	4		
8	9			3		1		

ᲠᲗᲣᲚᲘ

		3			9	5		
9				5			6	
			8		2			
			6	8				4
	4						7	
6				9	3			
			2		8			
	7			4				2
		9	3			1		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8	6	4			1	9	7
	9		7	6				2
8		9	6		4			
	2			1			4	
			5		2	9		3
2				9	7		1	
9	7	1			6	2	3	

გვიანი მშობიარობა სიმსივნისგან იცავს

მანდილოსნები, რომელთაც შვილის გაჩენა გვიან გადაწყვიტეს და ბავშვი 33-37 წლის ასაკში, ბუნებრივი გზით გააჩინეს, დღეგრძელები არიან, — ასეთი ინფორმაცია ცოტა ხნის წინ ამერიკელმა სწავლულებმა გაავრცელეს. გვიან ასაკში დედობამ, შესაძლოა, გარკვეული ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს, თუმცა ბევრი პოზიტივიც ახლავს. ამის დამტკიცება ამერიკელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს და სპეციალური გამოკვლევაც ჩაატარეს, სადაც აშშ-სა და დანიის მცხოვრები 5 ათასი მანდილოსანი მონაწილეობდა. კვლევისას გაირკვა, რომ იმ ქალბატონებს, რომელთაც 33-37 წლის ასაკში გააჩინეს შვილი, ორჯერ მეტი შანსი ჰქონდათ, უფრო დღეგრძელები ყოფილიყვნენ. დღეს მეცნიერები ვერ აანალიზებენ ამ კანონზომიერებას. მათი მოსაზრებით, ასეთ ქალებს უკეთესი ჯანმრთელობა აქვთ, ვიდრე მათ, ვინც ამ ასაკში დაფეხმძიმება ვერ მოახერხა. სამხრეთ კალიფორნიელი სწავლულები კი აცხადებენ, რომ მანდილოსნებს, რომლებიც 30 წლის მერე გახდნენ დედები, მშობიარობა ონკოლოგიური დაავადებებისგან იცავს, მაგალითად ესტროგენზე დამოკიდებული კიბოსა და უფრო აგრესიული ონკოდაავადებებისგან, რომელიც ჰორმონებზე არ არის დამოკიდებული.

ღეროვან უჯრედებს გაყიდიან

მეცნიერთა ჯგუფი ამომავალი მზის ქვეყნიდან გეგმავს, გულის კუნთის უჯრედები გაყიდოს, რომელიც ღეროვანი უჯრედებისგანაა მიღებული და მათზე პრეპარატების ტესტირება ჩაატაროს. ამ იაპონური პროექტის მიზანია, შეამციროს ცხოველებზე ცდების ხარჯი, რასაც ვალდებულებიდან გამომდინარე, ფარმაცევტული ფირმები ატარებენ იმის დასადგენად, იწვევს თუ არა ახალი პრეპარატი გვერდით მოვლენებს გულის დაავადებების მკურნალობისას. როგორც ვარაუდობენ, ღეროვანი უჯრედებიდან მიღებული გულის კუნთის უჯრედები მნიშვნელოვნად შეამცირებს კვლევის ხარჯს.

ნიორი ფილტვის კიბოს წინააღმდეგ

ჩინელი სწავლულების ხანგრძლივმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნიორი სასარგებლო და შეუცვლელი პროდუქტია — მნიშვნელოვნად აქვეითებს ფილტვების კიბოს წარმოშობის ალბათობას. ნივთიერებებს, რომელიც შედის ამ პროდუქტის შემადგენლობაში, შეუძლია არა მხოლოდ დაიცვას ფილტვები ავთვისებიანი კიბოს უჯრედებისგან, არამედ გაანადგუროს კიდეც ისინი. ნივრის სამკურნალო თვისებებზე ყოველ ჩვენგანს სმენია. ის არა მხოლოდ განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს კერძს, არამედ ბევრ დაავადებასაც ებრძვის. მას განსაკუთრებით აფასებენ ჩინელები.

კვლევას სპეციალისტებმა შვიდი წელი მიუძღვნეს. ექსპერიმენტში 6 ათასი ადამიანი მონაწილეობდა — სხვადასხვა ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლები და მათგან ცოტა თუ იყო სრულიად ჯანმრთელი, უმრავლესობას კი უიმედო დიაგნოზი — ფილტვის კიბო დაუდგინეს. მონაწილეთა უმრავლესობას მავნე ჩვევაც ჰქონდა — სიგარეტს ეწეოდა. ჩინელმა მკვლევარებმა გამოიკვლიეს ყველა პაციენტი, დაადგინეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეისწავლეს ცხოვრების სტილი და საბოლოოდ, ასეთი დასკვნა დადეს: იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად მოიხმარდნენ ნიორს, ფილტვების კიბოთი დაავადების რისკი 44%-ით ნაკლები ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც საერთოდ არ ეკარებოდა ამ პროდუქტს. მწეველი მამაკაცებისა და ქალებისთვისაც ასეთი დაავადების შანსი მხოლოდ 30%-ით მცირდებოდა. როგორ იცავს ნიორი ადამიანს ონკოლოგიური დაავადებისგან? — საქმე ისაა, რომ სწორედ ამ პროდუქტში შედის ნივთიერებები, რომელიც წარმატებით ბლოკავს ორგანიზმზე კანცეროგენების გავლენას, აღადგენს დაზიანებულ გენებს; გარდა ამისა, ნიორი არ აძლევს საშუალებას ავთვისებიან უჯრედებს, გაიზარდოს და გამრავლდეს, ზოგჯერ მათ თვითგანადგურებასაც იწვევს. ასეთი ძლიერმოქმედი ნივთიერებები გოგირდის ნაერთებია, რომელიც ნიორს უჩვეულოდ მკვეთრ სუნს აძლევს. ჩინელი სპეციალისტები გვირჩევენ, კვირაში თუნდაც 2-3-ჯერ მივირთვათ ნიორი და ამ გზით დავიცვათ თავი საშიში დაავადებებისგან, რომელიც ძნელად ექვემდებარება მკურნალობას.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	8	9	3	5	1	7	4	6
7	6	3	4	2	9	1	8	5
5	1	4	8	7	6	9	3	2
9	3	1	7	8	5	6	2	4
6	2	8	1	4	3	5	9	7
4	7	5	6	9	2	3	1	8
3	5	7	2	1	4	8	6	9
1	9	2	5	6	8	4	7	3
8	4	6	9	3	7	2	5	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	7	2	4	5	1	6	9	8
8	1	9	7	2	6	5	4	3
6	5	4	8	3	9	7	2	1
5	6	1	3	9	4	2	8	7
9	2	7	6	1	8	3	5	4
4	3	8	5	7	2	1	6	9
2	4	3	1	8	5	9	7	6
1	9	6	2	4	7	8	3	5
7	8	5	9	6	3	4	1	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	8	1	7	6	9	5	4	3
3	7	6	5	4	2	1	9	8
5	4	9	1	3	8	7	2	6
8	6	7	2	5	4	3	1	9
1	2	4	3	9	7	8	6	5
9	5	3	8	1	6	4	7	2
6	3	2	4	8	1	9	5	7
7	1	8	9	2	5	6	3	4
4	9	5	6	7	3	2	8	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	4	5	3	8	2	1	9	7
2	3	9	4	7	1	8	6	5
1	7	8	5	9	6	3	4	2
9	5	1	2	4	8	7	3	6
3	2	7	1	6	5	9	8	4
8	6	4	9	3	7	5	2	1
7	8	3	6	5	4	2	1	9
5	1	6	8	2	9	4	7	3
4	9	2	7	1	3	6	5	8

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	1	4	8	7	9	6	3	2
3	9	2	1	5	6	4	8	7
8	6	7	4	3	2	9	5	1
7	4	3	6	2	5	8	1	9
9	8	6	3	1	7	2	4	5
2	5	1	9	4	8	7	6	3
1	7	9	5	8	4	3	2	6
6	3	8	2	9	1	5	7	4
4	2	5	7	6	3	1	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	8	7	2	1	5	9	6	3
3	6	2	7	4	9	8	5	1
5	1	9	3	6	8	2	7	4
2	7	5	1	3	6	4	9	8
9	4	8	5	2	7	1	3	6
1	3	6	9	8	4	7	2	5
7	9	4	8	5	3	6	1	2
6	2	3	4	9	1	5	8	7
8	5	1	6	7	2	3	4	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	3	4	5	1	7	9	8	6
8	7	9	6	2	4	3	5	1
6	5	1	8	3	9	7	4	2
5	6	2	4	9	3	8	1	7
4	1	3	7	8	2	6	9	5
9	8	7	1	6	5	4	2	3
3	4	8	2	5	6	1	7	9
1	2	6	9	7	8	5	3	4
7	9	5	3	4	1	2	6	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	2	9	8	7	3	6	4	5
6	8	5	4	2	9	1	3	7
4	7	3	1	6	5	2	8	9
9	6	1	5	4	2	3	7	8
5	4	8	3	1	7	9	6	2
7	3	2	6	9	8	5	1	4
3	1	7	9	5	4	8	2	6
8	5	4	2	3	6	7	9	1
2	9	6	7	8	1	4	5	3

მე-10 გვერდი: 1. აბაჟური; 2. ბარელი; 3. ჟიპიტაური; 4. რული; 5. დროსელი; 6. რეკლამა; 7. საპალნე; 8. ლალი; 9. ტრიპოლი; 10. ილიამნა; 11. იუბილე; 12. პილპილი; 13. აკაპელა; 14. სოლიტერი; 15. იელი; 16. ბალუ; 17. იტილი; 18. ასლი; 19. ადენომა; 20. გილაური; 21. ბუი; 22. უიკენდი; 23. ინარი; 24. ზებრა; 25. პეირაკი; 26. ურიკა; 27. კაისა; 28. „ნაიკი“; 29. ზაქი; 30. „ლელა“; 31. მილნი; 32. ირისი; 33. აზატი; 34. „აეკი“; 35. უზი; 36. ნოე; 37. კოლიე; 38. კურარე; 39. აბა; 40. ელინგი; 41. ვან; 42. „ალანია“; 43. რაქიტი; 44. ერი; 45. ვერა; 46. ჰაე; 47. ლატი; 48. ფრე; 49. ივ; 50. ბანტუ; 51. რაბი; 52. ჰაინე; 53. აბვერი; 54. სარა; 55. ვეა; 56. მაკვისი; 57. აბანო; 58. აგა; 59. ვიქტორია; 60. აბანო; 61. აცე; 62. მუმია.

მე-12 გვერდი: 1. სერპანტინი; 2. დოდომა; 3. სემირამიდა; 4. აიაჩო; 5. დუქანი; 6. დარდიმანდიანცი; 7. მანო; 8. სმალტა; 9. ადამი; 10. ჩაპლინი; 11. ქარონი; 12. აუტი; 13. ტუია; 14. რანჩო; 15. მამბა; 16. თმა; 17. „აიდა“; 18. ნაია; 19. მუმუ; 20. ანისული; 21. ალამი; 22. კატაი; 23. ოდინი; 24. მაისი; 25. ეტი; 26. აპოგეა; 27. კრუიზი; 28. კვორუმი; 29. ამინ; 30. უფიცი; 31. „ფაუსტი“; 32. კენი; 33. პეიზაჟი; 34. გრენობლი; 35. ფსიტი; 36. კიჩო; 37. ვარსქენი; 38. შაკიკი; 39. უმიაკი; 40. რაბლე; 41. იუნონა; 42. ფრაუ; 43. ულუ; 44. ზიჩი; 45. თორა; 46. დილა; 47. ბაჟე; 48. ჰერცი; 49. ცუსიმა; 50. რიგვედა; 51. ნონეტი; 52. იბლისი; 53. უემბლი; 54. ლუიზა; 55. ლენ; 56. პირანია; 57. ლიმა; 58. ნახირი; 59. მარგინალი; 60. პაატა; 61. ბლოკი; 62. ომი; 63. ენიო; 64. ადიუ; 65. ავგია; 66. იაფი; 67. ჟადეიტი; 68. დონ; 69. ირი; 70. ალბა; 71. ნიასა; 72. ხბო; 73. ათამანტი; 74. ალფა; 75. ნაირა; 76. ოდრი; 77. პფაიფერი; 78. გოა; 79. გუგლი; 80. იანკი; 81. პა; 82. ფარი; 83. რალი; 84. ფანტომი; 85. ოყა.

1.ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელი სითხე
2. (ისტ.) მეფის შეიარაღებულ მცველთა უფროსი
3. ძაღლის ნაშიერი
4. უმაღლესი ხარისხის მინა
5.თხზულების შინაარსის მოკლე გადმოცემა
6.მართლმადიდებელ მამათა დიდი მონასტერი
7. დირიჟორის კოსტიუმი
8. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული
9. კარგად აღზრდილი, კორექტული მამაკაცი
10.ყველაზე წყალმარჩხი ზღვა მსოფლიოში
11. საცალფეხო გზა
12. ტაივანის დედაქალაქი
13. ზღვის პატარა ყურე
14. უდედმამო ბავშვი
15. მაგარი ალკოჰოლური სასმელი
16.აკრძალვა პირველ-ყოფილ საზოგადოებაში
17. ჩინური ტანვარჯიში
18. საკონდიტრო ნაწარმი
19. უძველესი ამერიკული ავტომარკა
20. საოჯახო ელექტრონელსაწყო
21. ბარით მოჭრილი მიწის ნაჭერი
22. სოფელი დუშეთის რაიონში
23. ჩაის ბუჩქის ახლად გამოტანილი ყლორტი
24. არგენტინული ცეკვა
25. შექსპირის დრამა „მეფე ...“
26. ლეო დელიბის ოპერა
27. მაჰმადიანთა წმინდა წიგნი
28. ცხენირემი
29. მამის და
30. ყოფილი გერმანელი თავდამსხმელი
31.კათოლიკური წირვა
32. დროის მონაკ. კრივში
33. სოფელი ყაზბეგის რაიონში
34. შიშველი სხეული ფერწერაში
35. ყვავის ხმიანობა
36. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
37. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
38. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
39. გოეთეს ტრაგედია
40.„ღმერთების დე-და“ ვედურ მითოლოგიაში
41. ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი
42. მრწამსი, მსოფლმხედველობა
43. ცხენის კუდის ბეწვი
44. ოდეკოლონის „მშობლიური“ ქალაქი
45. ლოგარითმის წილადური ნაწილი
46. მდინარე ევროპაში
47. ღამის ფრინველი
48. მალდივის კუნძულების დედაქალაქი
49. სახლის ცენტრალური ნაწილი ძვ. რომში
50. რაგბის ქართული წინამორბედი
51. (ძვ.) ერთად თავშეყრილი ხალხი
52.მოკლედ აჭრილი ვაზის წყვილმტევნიანი რქა
53. ქართული ხალხური ცეკვა
54. ონორე დე ბალზაკის სატრფო
55.ერაყელი დიქტატორი ... ჰუსეინი
56. ლიმონის მსგავსი ციტრუსი
57. ჰოლივუდის მსახიობი ... ბროსნანი
58.მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ
59. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
60. კამერუნელი ფეხბურთელი სამუელ ...
61. მარიამ ღვთისმშობელის დედა
62. აშშ-ის პრეზიდენტი
63.თეთრყვავილებიანი ხე
64.ჯადოსნური თვალი, რომელსაც გველი ინახავს
65. ცხიმოვანი სიმსივნე
66. ბრაზილიის ფულის ერთეული
67. საფრანგეთის პარტიზანი II მსოფლიო ომში
68.მოხსენება ნაკისრ ვალდებულებათა შესრ. შესახებ
69. ლათინური ანბანის ასო
70. ზოგი მსხვილფეხა დედალი ცხოველი
71. ივივეა, რაც შუშა
72. მდინარე შიდა ქართლში
73.ავტორი რომანისა „ანკრისტოფი“
74. ვულკანური გავარვარებული მასა
75. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
76. ჯეკ ლონდონის „... იდენი“
77. რუსული თვითმფრინავის მარკა
78. ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობაში
79. იგივე, რაც მერიქიფე
80. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
81. საგანთა ნუსხა
82. დიდი ციმბირული ირემი
83. (ძვ.) საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი
84. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები
85. მწერალი ... ჩიანელი
86. მომავალი, მყოფადი დრო

გზას პიჯაკით გაიგნებთ

სიდნეიში არსებულმა კომპანიამ, რომელიც სამოსს მოდისა და მაღალი ტექნოლოგიების შერწყმით აწარმოებს, უნიკალური ნავიგაციური პიჯაკი შექმნა, რომელიც პატრონს გზის აბნევის უფლებას არ მისცემს. საქმე ისაა, რომ ამ უჩვეულო პიჯაკის სახელო GPS-მოდულითაა აღჭურვილი. სპეციალური პროგრამის მეშვეობით, მომხმარებელს სმარტფონზე სასურველი ადგილი შეჰყავს. შემდეგ კი სახელოს თავად მიჰყავს დანიშნულების ადგილამდე — მარჯვენა ან მარცხენა სახელოში ვიბრირების მეშვეობით, იმისდა მიხედვით, საით მდებარეობს საჭირო მოსახვევი. გარდა ამისა, პიჯაკში შუქდიოდებიცაა ჩამონტაჟებული, რომელიც მკვეთრად ანათებს, როცა ადამიანი საჭირო პუნქტს უახლოვდება. კოსტიუმში არსებული ყველა ტექნოლოგია უსადენო, მსუბუქი და შეუმჩნეველია. პიჯაკის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მფლობელს აღარ დასჭირდება შუა ქუჩაში სმარტფონის ამოღება და იმის ნახვა ეკრანზე, სწორი გზით მიდის თუ არა. პიჯაკი კი მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ავსტრალიელების ახალი პროდუქტი უკვე მზადაა გამოცდისთვის, კომპანია კი მოხალისეებს აგროვებს ევროპის მთავარი ქალაქებიდან, რომლებიც ახალ პიჯაკს ქუჩაში გამოსცდიან.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.